პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 254 (5355) | პარასკევი, 5 ნოემბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთშია:

აგიტაცია და პროპაგანდა საარჩევნო კამპანიაში („პრავდის" მოწინავე)

სსრ კავშირის ცაკის დადგენილება მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ (1-ლი გვ.)

ბრიუსელის კონფერენციის გახსნა (1-ლი გვ.)

ამხ. ლიტვინოვის გამოსვლა ბრიუსელის კონფერენციაზე (1-ლი გვ.)

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი (1-ლი გვ.)

შ. აფხაიძე, გ. კაჭახიძე — არჩევნებისაკენ სტალინური დროშით მიმავალნი (მე-2 გვ.)

შალვა დადიანი — ქართული საბჭოთა დრამატურგია (მე-3 გვ.)

სანდრო ეული — ჭალადიდი (ლექსი. მე-3 გვ.)

ვ. პერელმანი — საიუბილეო გამოფენა „სოციალიზმის ინდუსტრია" (მე-4 გვ.)

აგიტაცია და პროპაგანდა საარჩევნო კამპანიაში

12 დეკემბერი—უზენაესი საბჭოს არჩევნების დღე—უდიდესი მოვლენაა სსრ კავშირის ცხოვრებაში. ჩვენი სამშობლოს ყველა მოქალაქე ემზადება, რათა ღირსეულად შეხვდეს ამ დღეს. თვითეული მოქალაქე უნდა იცნობდეს საარჩევნო კანონს, თავის უფლებებსა და მოქალაქეობრივ მოვალეობებს. იგი უნდა იცნობდეს აგრეთვე კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის იმ კანდიდატებს, რომლებიც წამოყენებული არიან მის საარჩევნო ოლქში, იგი სავსებით მომზადებული უნდა მივიდეს არჩევნებზე. აქედან სრულიად ნათელია, თუ რა კოლოსალურ როლს ითამაშებს აგიტატორი და პროპაგანდისტი!

გამოდიოდა რა ცენტრალური კომიტეტის ანგარიშით პარტიის IX ყრილობაზე, ლენინი ამბობდა:

„პროპაგანდისა და აგიტაციის სიცხადე აქ ძირითადი პირობაა. თუ ჩვენი მოწინააღმდეგენი ამბობდნენ და აღიარებდნენ, რომ ჩვენ აგიტაციისა და პროპაგანდის განვითარებაში სასწაულები მოვახდინეთ, ეს გარეგნულად კი არ უნდა გავიგოთ, რომ ჩვენ მრავალი აგიტატორი გვყავდა და ბევრი ქაღალდი დავხარჯეთ, არამედ ეს უნდა გავიგოთ შინაგანი აზრით, რომ ის სიმართლე, რომელიც ამ აგიტაციაში იყო, გზას იკვლევდა ყველას შეგნებისაკენ. და ამ სიმართლეს გვერდს ვერ აუქცევ".

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წმინდა მოვალეობაა, აგიტატორებისა და პროპაგანდისტების,—პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების წმინდა მოვალეობაა,—გიგანტური გაქანების საარჩევნო კამპანიის პირობებში ბოლშევიკური სიმართლე მიიტანონ მილიონების გონებამდე და გულამდე.

მაგრამ საარჩევნო კამპანიის პირველი კვირეები გვიჩვენებენ, რომ ყველა პარტიულ ორგანიზაციას როდი აქვს შეგნებული აგიტაციისა და პროპაგანდის კოლოსალური მნიშვნელობა. ზოგიერთ ადგილას ისევ განაგრძობენ დიდი ციფრებით ოპერირებას, ახდენენ მრავალი აგიტატორის მობილიზაციას, აბსოლუტურად არ არიან რა დაინტერესებულნი მათი მომზადებით. ასე, მაგალითად, ნოვოჩერკასკის რაიკომმა სტანიცა გრუშევსკაიაში საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის გასაწევად გაგზავნა ინდუსტრიული ინსტიტუტის 500 სტუდენტი. ეს ადამიანები მხოლოდ ხელს უშლიდნენ ერთმანეთს, თუ აღარ ვილაპარაკებთ იმაზე, რომ მათი უმრავლესობა სრულიად არ იყო მომზადებული საგიტაციო მუშაობისათვის.

ბურიატ-მონღოლეთის ხორინსკის რაიონში აგიტატორები მხოლოდ იმას აკეთებდნენ, რომ საარჩევნო კანონს იზეპირებდნენ, ამასთანავე დღითიდღე ერთსადაიმავე თავს „სწავლობდნენ".

კრასნოიარსკის ერთიან სამომხმარებლო საზოგადოებაში კანდიდატის წამოყენების შემდეგ ერთბაშად შეაჩერეს საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა.

ქ. კიევის სტალინის რაიკომში აგიტატორთა სიებში მექანიკურად შეიტანეს რაიონის სასწავლებელთა და პარტიულ ორგანიზაციათა პროპაგანდისტები. ეს აგიტატორები ერთხელაც კი არავის შეუკრებია. ისინი პარტიის რაიკომის არც ბიუროზე, არც პლენუმზე არ დაუმტკიცებიათ. მათთვის დღემდისაც კი არ უცნობებიათ, რომ ისინი შეტანილი არიან იმ აგიტატორთა ჯგუფში, რომლებიც მომსახურებას უწევენ საარჩევნო კამპანიას.

საარჩევნო კამპანიას ჩვენს ქვეყანაში თან სდევს მთელი საბჭოთა ხალხის გრანდიოზული პოლიტიკური აღმავლობა. იმ პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, სადაც საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა ცუდად არის დაყენებული, საჯაროდ ადასტურებენ თავის უმწეობას, საჯაროდ ცხადჰყოფენ თავის უუნარობას—სათავეში ჩაუდგნენ მასების აქტივობას.

წინასაარჩევნო მუშაობის პროცესში მრავალმა შესანიშნავმა აგიტატორმა და პროპაგანდისტმაც იჩინა თავი. მათ გვიჩვენეს პარტიის საქმისათვის ბრძოლის დიდი ოსტატობა და უნარი. ასე, მაგალითად, ხარკოვის ელექტრომექანიკური და სატურბოგენერატორო ქარხნის საუკეთესო აგიტატორებმა და პროპაგანდისტებმა ათი დღის განმავლობაში ხარკოვის ოლქის ახტირკისა და ალექსეევკის რაიონებში დიდი მუშაობა გასწიეს უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების ხაზით—მოაწყეს და მოაგვარეს წრეების მუშაობა, ჩაატარეს სემინარი ხელმძღვანელებთან, გაუზიარეს მათ ქარხანაში წარმოებული პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილება.

ზოგიერთ რაიონში უჩივიან იმას, რომ მომზადებული, საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობისათვის გამოსადეგი ადამიანები არ გვყოფნისო. ამ მტკიცებას არავითარი ნიადაგი არ მოეპოვება. აგიტატორთა არმიის შექმნა ხომ არ არის საჭირო. საკითხი მდგომარეობს არა რაოდენობაში, არამედ გამოსაყოფ ადამიანთა მომზადებულობასა და პოლიტიკურ სიმტკიცეში. უნდა გვახსოვდეს, რომ თვითეულ რაიკომთან აუცილებლად საჭიროა შეიქმნას **აგიტატორთა და პროპაგანდისტთა რიცხობრივად პატარა, მაგრამ პოლიტიკურად ნამდვილად შემოწმებული და მომზადებული კადრები**, რომელნიც კარგად იცნობენ კონსტიტუციას და საარჩევნო კანონს, და **რომელთაც შეუძლიათ, შესწევთ უნარი ყოველთვის და ყოველ დროს დაიცვან ლენინ-სტალინის პარტიის საქმე**.

მიმდინარე საოლქო საარჩევნო თათბირები ასახელებენ რწმუნებულ პირთ საარჩევნო უბნებზე მისამაგრებლად. რწმუნებული პირნი, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის დაყენებისათვის თავის უბანში, გარემოცული უნდა იყვნენ აქტივით, აგიტატორთა და პროპაგანდისტთა კადრებით, რომლებზედაც მათ შეეძლებათ დაყრდნობა. მაგრამ ამ ფრიად მნიშვნელოვანი საქმისთვისაც ყოველთვის შეიძლება ვიპოვოთ შესაფერისი ადამიანები. ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს—ბოლშევიკური ენთუზიაზმის დაუშრეტელ წყაროს—შეუძლიათ მოგვცენ მრავალი ძვირფასი პოლიტიკური მებრძოლი სოციალიზმის საქმისათვის მოწინავე მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსების, მოსამსახურეების—კომუნისტებისა და უპარტიოების რიცხვიდან.

უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიის უკლებლივ ყველა რაიონულ კომიტეტს თანაბარი პასუხისმგებლობა ეკისრება საარჩევნო კამპანიის მსვლელობისათვის, საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის დაყენებისათვის. თუ რაიონი ჩამორჩენილია, სუსტია,—პარტიის საოლქო (სამხარეო) კომიტეტი ვალდებულია ყოველნაირი დახმარება აღმოუჩინოს მას. ძალების სწორი განლაგება საარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩატარების აუცილებელი პირობაა.

აგიტატორებსა და პროპაგანდისტებს, რომელნიც ბოლშევიკურ სიტყვასა და ბოლშევიკურ სიმართლეს შეიტანენ ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა ფრიად შორეულ კუთხეში, ყოველნაირი დახმარება უნდა აღმოვუჩინოთ. წიგნის და რადიოს ყოველნაირად გამოყენება, სსრ კავშირის ხალხთა ენებზე ისეთი პოპულარული ლიტერატურის გამოშვება, რომელიც გასაგებად გადმოგვცემს ჩვენი პარტიის ლოზუნგებს,—შეადგენს არა მარტო ცენტრალური ორგანიზაციების, არამედ აგრეთვე ოლქკომების, სამხარეო კომიტეტებისა და ნაცკომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების ამოცანას. ასეთი მუშაობისათვის ნაციონალურ რესპუბლიკებში, სამხარეო და საოლქო ცენტრებში ყველა საშუალება არსებობს, და პარტიული ორგანიზაციების პირდაპირი მოვალეობაა მთლიანად და სავსებით გამოიყენონ ეს საშუალებანი.

საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს მტრული ელემენტების აქტივიზაციის პირობებში. მტრისათვის უფრო ადვილია იმოქმედოს იქ, სადაც სუსტია საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა. მაგალითად, კონოტოპში, სარგებლობდნენ რა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის უდარდელობით, რომელმაც ვერ შესძლო შეერჩია მტკიცე, პოლიტიკურად მომზადებული აგიტატორები და პროპაგანდისტები, თავი წამოჰყვეს ბაპტისტებმა. იქვე აგიტატორთა რიცხვში აღმოჩნდნენ უცხო ადამიანები.

უნდა ვიყოთ თვალმახვილნი, ფხიზელნი. მტრულ ადამიანთა მხრით მოქმედების თვითეული ცდა უნდა დაიმსხვრეს გაშლილი ბოლშევიკური აგიტაციისა და პროპაგანდის რკინის კედელზე.

ბოლშევიკური აგიტაცია და პროპაგანდა უკეთილშობილეს მიზანს ისახავს—დაეხმაროს ყველა საბჭოთა მოქალაქეს რაც შეიძლება უფრო სრულად განახორციელოს თავისი უფლება სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობისა, სტალინური კონსტიტუციის მიერ მინიჭებული. პროპაგანდისტთა და აგიტატორთა კადრების ორგანიზების უნარზე, მათს მომზადებაზე, წინასაარჩევნო აგიტაციისა და პროპაგანდის ხარისხზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საარჩევნო კამპანიის წარმატება. ამიტომ ამჟამად არ არის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, საპასუხისმგებლო, უფრო საპატიო ამოცანა რომელიც გნებავთ პარტორგანიზაციისათვის, ვიდრე საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის სწორად დაყენება.

ბოლშევიკური სიმართლის ცეცხლოვანი სიტყვა ათეული მილიონობით ამომრჩევლებიდან თვითეულს უნდა მისწვდეს მკაფიო, გასაგები, ნათელი, დაუმახინჯებელი სახით.

„პრავდის" მოწინავე, 4/XI

„ჩრდილოეთის პოლუსის" სადგურზე

მოსკოვი, 3 ნოემბერი (საკდესი). 3 ნოემბერს, დღის 1 საათზე „ჩრდილოეთის პოლუსის" მოდრეიფე სადგური იმყოფებოდა ჩრდილოეთ განედის 83 გრადუსსა და 49 წუთზე და აღმოსავლეთ გრძედის 2 გრადუსსა და 49 წუთზე.

სადგურის რაიონში — ღრუბლიანობაა, წყნარი ამინდია; ტემპერატურა უდრის მინუს 31 გრადუსს.

ბრიუსელის კონფერენციის გახსნა

ბრიუსელი, 3 ნოემბერი (საკდესი). დღეს დილით გაიხსნა იმ სახელმწიფოთა კონფერენცია, რომლებმაც ხელი მოაწერეს ვაშინგტონის 1922 წლის ხელშეკრულებას. ესწრებიან ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიის, ჩინეთის, საფრანგეთის, პორტუგალიის, ჰოლანდიის, იტალიის, დიდბრიტანეთის წარმომადგენლები. მეცხრე სახელმწიფო, რომელმაც ხელი მოაწერა ვაშინგტონის ხელშეკრულებას, იაპონია — კონფერენციაზე წარმოდგენილი არ არის.

გარდა ამისა, კონფერენციას ესწრებიან ბრიტანეთის დომინიონების (ავსტრალიის, სამხრეთ-აფრიკის კავშირის, კანადის, ახალი ზელანდიის), აგრეთვე ინდოეთის წარმომადგენლები და იმ სახელმწიფოთა დელეგაციები, რომლებიც შემდეგ შეუერთდნენ ვაშინგტონის ხელშეკრულებას,—დანიის, შვეციის, ნორვეგიის, მექსიკისა და ბოლივიის დელეგაციები.

როგორც ისეთი სახელმწიფო, რომელსაც შორეულ - აღმოსავლეთში განსაკუთრებული ინტერესები აქვს, მოწვეულია სსრ კავშირი. კონფერენციაში მონაწილეობს მისი დელეგაციაც, რომელიც შესდგება ამხ. ლიტვინოვისა, პოტიომკინისა და რუბინინისაგან.

ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სპააკმა თავის შესავალ სიტყვაში მწუხარება გამოსთქვა, რომ გერმანიამ და იაპონიამ უარი სთქვეს კონფერენციაში მონაწილეობაზე. იაპონიის დაუსწრებლობა, მისი აზრით, სიძნელეებს უქმნის კონფერენციის მუშაობას. ამ კონფერენციის მიზანია,—განაცხადა მან, აღადგინოს მშვიდობიანობა და კანონიერება, ვინაიდან „სახელმწიფოთა შორის არ არსებობს ისეთი კონფლიქტი, რომლის გადაჭრაც შერიგების, შუამდგომლობისა ან არბიტრაჟის მეთოდებით არ შეიძლებოდეს".

სპააკის შესავალი სიტყვის შემდეგ კონფერენციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სპააკი. გენერალურ მდივნად დაამტკიცეს ბელგიის დელეგაციის მდივანი დე ფენფი.

შემდეგ გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პირველი დელეგატი ნორმან დევისი. მან განაცხადა, რომ საომარ მოქმედებას, რომელიც ამჟამად შორეულ აღმოსავლეთში სწარმოებს, სერიოზული მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩინეთისა და იაპონიისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც.

დევისმა აღნიშნა, რომ ეკონომიური თვითსაკმარობის, პოლიტიკაც, რასაც ზოგიერთი ქვეყანა მისდევს „ჰქმნის პირობებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მშვიდობიანობას".

დევისმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ამ კონფერენციაზე მოდის ისე, რომ მას არა აქვს არავითარი სხვა ვალდებულება, გარდა იმ ვალდებულებებისა, რომლებიც გამომდინარეობენ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის არსებული ხელშეკრულებებისა და საერთო სახელმძღვანელო პრინციპებიდან. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ამ ფარგლებში მონაწილეობას მიიღებს ცდებში, რომ ახლანდელი კონფლიქტი მშვიდობიანად დამთავრდეს.

დევისის შემდეგ გამოსულმა იდენმა განაცხადა, რომ სავსებით ეთანხმება დევისს.

შემდეგ გამოვიდნენ დელბოსი და იტალიის დელეგატი ალდროვანდი. უკანასკნელმა განაცხადა, რომ იტალიის მთავრობა „უდიდესი თავდაჭერილობით" ეკიდება ახლანდელ კონფერენციას.

შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს შესვენებას 16 საათამდე.

ამხ. ლიტვინოვის გამოსვლა ბრიუსელის კონფერენციაზე

ბრიუსელი, 3 ნოემბერი (საკდესი). ბრიუსელის კონფერენციის დღის სხდომის გახსნისთანავე თავმჯდომარემ სიტყვა მისცა ამხ. ლიტვინოვს.

ამხ. ლიტვინოვმა სთქვა:

„მოვედი რა აქ ვაშინგტონის ხელშეკრულების მონაწილეთა მოწვევით და ერთა ლიგის გადაწყვეტილების ძალით, მე შემიძლია შევუერთდე შორეული აღმოსავლეთის ამბების დახასიათებას, რაც აქ მოგვცეს მომწვევმა სახელმწიფოებმა და განსაკუთრებით შეერთებული შტატების პატივცემულმა წარმომადგენელმა. მე არ მესაჭიროება გამოვიდე აქ სპეციალური დეკლარაციით, მით უმეტეს, რომ კონფერენციის წინაშე დასმული პრობლემა უკვე წარმოადგენდა განხილვის საგანს ჟენევაში, სადაც ჩაისახა წინადადება ამ კონფერენციის მოწვევის შესახებ, და სადაც ნათქვამი იყო ყოველივე, რასაც მდგომარეობა მოითხოვს.

საბჭოთა მთავრობას არა ერთხელ მოუხდა აზრის გამოთქმა აგრესიასთან, როგორც საერთაშორისო მოვლენასთან, ბრძოლის საერთო საკითხზე, ისე ამ აგრესიის აქტიური გამოვლინების ცალკეულ შემთხვევათა გამო. ყველა ეს აზრი მუდამ ინსპირირებული იყო მხოლოდდამხოლოდ მშვიდობიანობის იდეისადმი საბჭოთა მთავრობის ერთგულებით. ეს იდეა, იქნებ გარეშეა, აღაფრთოვანებს, მეტად მცირეოდენი გამონაკლისებით, დანარჩენ სახელმწიფოთა მთავრობებსაც, რაც მათთვის ჰქმნის საყოველთაო პლატფორმას და საერთო გამოსავალ თვალსაზრისს. უთანხმოებანი მათ შორის იწყება მხოლოდ მაშინ, როცა წამოიჭრება საკითხი საერთო იდეიდან მშვიდობიანობის შენარჩუნების ან მისი იქ აღდგენის ყველა ეფექტური მეთოდების საკითხზე გადასვლის შესახებ, სადაც იგი დარღვეული აღმოჩნდა.

ყოველ შემთხვევაში ყოველგვარი მეთოდის მიღებისათვის პირველი და აუცილებელი ნაბიჯია პრობლემის ერთად განხილვა საერთაშორისო კონფერენციებზე ან სხვა ორგანიზაციებში. ზოგიერთ შემთხვევაში ერთად განხილვისათვის კონფერენციის მოწვევის თვით ფაქტი უკვე წარმოადგენს ერთგვარ მოქმედებას, რომელსაც გარკვეული მორალური ღირებულება აქვს. აი რატომ მივესალმები მე საბჭოთა მთავრობის სახელით ამ კონფერენციას და მადლობას ვუცხადებ ბელგიის მთავრობასა და მის საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ სპააკს იმ ტვირთისთვის, რომელიც მათ იკისრეს ამ კონფერენციის განსახორციელებლად, და დელეგაციების კარგად მიღებისათვის.

უკანასკნელმა წლებმა საერთაშორისო ცხოვრება გაამდიდრეს მეტად ძვირფასი გამოცდილებით და ეს გამოცდილება გვაიძულებს ჩვენ ყურადღება მივაქციოთ იმ საშიშ ოღროჩოღროებსა და ორმოებს, რომლებიც საერთაშორისო კონფერენციათა გზაზე მოიპოვებიან. აღნიშნული გამოცდილება გვასწავლის, რომ საერთაშორისო კონფერენციები, კომიტეტები და სხვა ორგანიზაციები, რომელნიც მოწოდებულნი არიან ემსახურონ გარკვეულ მიზანს, განსაკუთრებით ხანგრძლივი არსებობის შემთხვევებში, ზოგჯერ იჩენენ მიდრეკილებას დაივიწყონ თავისი პირდაპირი მიზანი, თავისი სამსახურებრივი როლი და იწყებენ ცხოვრებას თავისი საკუთარი ცხოვრებით, თავისი საკუთარი ინტერესებით. ისინი იწყებენ ზრუნვას, უმთავრესად, თავისი არსებობის შენარჩუნებაზე, ამ კონფერენციების ინიციატორთა და მომწყობთა მორალურ დაკმაყოფილებაზე, თავის საკუთარ გარეგნულ წარმატებებზე, რომლებიც ყოველთვის როდი შეესაბამება იმ საქმის წარმატებებს, რისთვისაც კონფერენციები მოწვეულია. კიდევ მეტი, ზოგჯერ თავს იჩენს უთანხმოებაც კი ამ სხვადასხვა ინტერესებს შორის; დგება ისეთი მომენტებიც კი, როცა კონფერენცია ან კომიტეტი, რომელნიც უნდა მიისწრაფოდნენ აგრესიულ მოვლენათა აღმოფხვრისა და დაძლევისაკენ, თითონ ხდებიან შეუმჩნევლად აგრესორის იარაღად, რომელიც მათ იყენებს როგორც შირმასა და საშუალებას თავის აგრესიულ მოქმედებათათვის.

ეს ხდება, როცა საერთაშორისო ორგანიზაციები მიმართავენ თვით აგრესორებს და ცდილობენ დაითანხმონ ისინი მათი პოზიციების შეცვლაზე. მოლაპარაკების პროცესში, რომელნიც შებოჭილია აგრესორისადმი თანმიმდევრობითი დათმობებით, შეიძლება გადასცდე იმ ხაზს, რომელზედაც ადამიანები, უდაოდ გამსჭვალულნი საუკეთესო განზრახვებით, თავისთვის შეუმჩნევლად დაეშვებიან აგრესორის თვალსაზრისამდე, იწყებენ მისი ენით ლაპარაკს, არსებითად ამართლებენ და აქეზებენ რა მის მოქმედებებს.

როცა საქმე ეხება ერთ სახელმწიფოს აგრესიულ თავდასხმას მეორეზე ამ თავდასხმის ერთგვარი წარმატების დროს, საერთაშორისო ორგანიზაციისათვის, რათა მან მიაღწიოს წარმატებას, იმაზე ადვილი არაფერია, რომ უთხრას აგრესორს: „წაიღე შენი ნადავლი, ის რაც ძალით ჩაიგდე ხელში, და მშვიდობა მოგვეცეს", ხოლო აგრესიის მსხვერპლს — „გიყვარდეს შენი აგრესორი და ნუ ეწინააღმდეგები ბოროტებას". მაგრამ ეს შეიძლება გარეგნული წარმატება იყოს კონფერენციისათვის და არა მშვიდობიანობის გამარჯვება, მშვიდობისმოყვარე ქვეყნების გამარჯვება. ასეთ წარმატებებს შეუძლიათ მხოლოდ გამოიწვიონ აგრესიის ახალი შემთხვევები და შექმნან ახალი კონფერენციების საჭიროება, და ასე დაუსრულებლად. აგრესიის წაქეზებასა და გამრავლებას აადვილებს კიდევ ის გარემოება, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების პირდაპირი გზიდან გადახვევისას, რაც მე აღვნიშნე, აუცილებელია შეხლა-შემოხლა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებს შორის, რაც იწვევს მათი ერთმანეთისაგან დაშორებას, და რასაც თავის მხრით მარჯვედ იყენებენ აგრესორები. ამავე დროს, მშვიდობისმოყვარე ქვეყნების გაერთიანება განსაკუთრებით საჭიროა ისეთ მომენტში, როცა აგრესიული ქვეყნები სულ უფრო და უფრო ერთიანდებიან და მჭიდროდ ირაზმებიან, საფრთხეს უქმნიან რა სულ უფრო და უფრო მეტ სახელმწიფოებს.

საჭიროდ მიმაჩნია რა გაგაფრთხილოთ იმ საშიშროებათა წინააღმდეგ, რომლებსაც ახლანდელ პირობებში შეიძლება წააწყდეს ყოველგვარი კონფერენცია, მე წარმატებას ვუსურვებ ბრიუსელის კონფერენციას და იმ წინადადებებს, რომლებსაც ჩვენ, ალბათ, მოვისმენთ მომწვევ სახელმწიფოებისაგან. მე დარწმუნებული ვარ, რომ ახალი კონფერენცია თავიდან აიცილებს ჩემ მიერ ნახსენებ საშიშროებებს, და რომ წინადადებათა მიზანი იქნება არა მარტო მშვიდობიანობის აღდგენა შორეულ აღმოსავლეთში, არამედ სამართლიანი მშვიდობიანობის, ისეთი მშვიდობიანობის აღდგენა, რომელიც ხელ-ფეხს არ გაუხსნის, არამედ შემდეგშიც შებოჭავს აგრესიას დედამიწის სხვა ნაწილებშიც".

საომარი მოქმედება ჩინეთში

შანხაი, 2 ნოემბერი (საკდესი). ჩინეთის შტაბის ნაკრები ცნობების თანახმად, იაპონელებმა განაახლეს აქტივობა ლიუხე-ლოდიანის ფრონტის უბანზე. იაპონელებმა კვლავ გამოიყენეს საწამლავი ნივთიერებანი. ქარის მიმართულების მოულოდნელად შეცვლის გამო, გაზის ტალღა სხვა მხრით წარიმართა. ისარგებლეს რა ამით, ჩინეთის ჯარები გადავიდნენ კონტრიერიშზე, რის შედეგად რამდენიმე ასეული იაპონელი მოკლულია და რამდენიმე კაცი ტყვედ არის წაყვანილი.

იაპონიის ჯარების მექანიზებული კოლონა, რომელიც ზურგიდან უვლიდა სიაონანსიანს სამხრეთის მხრით, შეაკავა ჩინეთის ჯარმა გააფთრებული ბრძოლის შემდეგ ძიანძიაოს რაიონში, სიაონანსიანიდან ორი კილომეტრის მანძილზე სამხრეთით. ჩენჟუსა და ნანსიანს შუა ჩინეთის ჯარები წარმატებით იგერიებენ იაპონელთა იერიშებს.

ძლიერი საარტილერიო ცეცხლისა და საჰაერო ბომბარდირების დახმარებით იაპონიის ჯარები განაგრძობენ სუჯოუ-კრიკზე გადასვლას. სწარმოებს გააფთრებული ბრძოლა.

ლონდონი, 2 ნოემბერი (საკდესი). „დეილი ტელეგრაფი" აღნიშნავს, რომ იაპონიის ჯარებმა მხოლოდ დიდი მსხვერპლის გაღებით შესძლეს სუჯოუ-კრიკის არხზე გადასვლა. იაპონელთა მესანგრე ნაწილების დანაკლისი აღწევს პირადი შემადგენლობის 90 პროცენტს. ქვეითი ჯარის ნაწილებმაც დიდი ზარალი ნახეს.

„ძირს იაპონიის იმპერიალიზმი"!

შანხაი, 2 ნოემბერი (საკდესი). უკანასკნელ დროს შანხაის ჩინურ მოსახლეობაში შემჩნეულია ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობა ლოზუნგებით: „ძირს იაპონიის იმპერიალიზმი! ძირს გამცემლები! არავითარი კომპრომისი და შეთანხმება საძულველ მტერთან! მთელი ხალხის შეიარაღება და დიადი შანხაის დაცვა!"

2 ნოემბერს დილიდანვე იმართებოდა მთელ ქალაქში სახელდახელო მიტინგები და დემონსტრაციები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო, სულ მცირე 10 ათასმა სტუდენტმა. მუშამ და მოსამსახურემ და ათასობით არაორგანიზებულმა მოსახლეობამ. ეს დემონსტრაციები ყველაზე უფრო მძლავრი იყო შანხაიში საომარი მოქმედების დაწყების დროიდან.

მოწოდება ესპანეთის რესპუბლიკის მოსახლეობისადმი

ვალენსია, 2 ნოემბერი (საკდესი). ცენტრალური ფრონტის სარდლობამ და მადრიდის მუნიციპალიტეტმა გამოუშვეს მოწოდება ესპანეთის რესპუბლიკის მთელი მოსახლეობისადმი, რომელშიაც მოითხოვენ, ფაშისტური შემოტევისათვის ქალაქის მიერ გმირული წინააღმდეგობის გაწევის წლისთავთან დაკავშირებით, გაგზავნონ მადრიდში თბილი ტანისამოსი და სურსათი ჰოსპიტლებსა, მეომრებსა და მოსახლეობის შორის გასანაწილებლად.

კორტესების თავმჯდომარემ ბარიომ, მადრიდის დაცვის წლისთავთან დაკავშირებით, გენერალ მიახას გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა, რომელშიაც აღნიშნავს მადრიდის გმირულ დაცვას რესპუბლიკური არმიის მიერ.

იაპონიის ჯარების დანაკლისი

ნანკინი, 2 ნოემბერი (საკდესი). ფრონტიდან მიღებული ცნობებით, იაპონიის მე-11 დივიზიის მე-71 პოლკი მთლად გაჟლიტეს მინტიანჯუნთან საომარი მოქმედების დროს. ჩინელ ლტოლვილთა ცნობებით. იუანპინსა და გოსიანში თავი მოიყარა 7 ათასმა დაჭრილმა იაპონელმა ჯარისკაცმა.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

საბჭოთა კავშირის თავდაცვის ძლიერების დარგში მთავრობის სპეციალურ დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამ საქმეში გმირობის გამოჩენისათვის მიეკუთვნოს **საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება:**

1. მაიორ ივანე ალექსის-ძე **ლაკეევს.**
2. ლეიტენანტ აბრამ გრიგოლის-ძე **აბრამოვიჩს.**

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის წევრი ა. ანდრეევი.

მოსკოვი, კრემლი.
1937 წლის 3 ნოემბერი.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა, პოლიტმუშაკთა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა დაჯილდოება

მოსკოვი, 3 ნოემბერი (საკდესი). სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1937 წლის 3 ნოემბრის დადგენილებით. მუშურ-გლეხური წითელი არმიის შენაერთების, ნაწილებისა და ქვედანაყოფების საბრძოლო, პოლიტიკურ და ტექნიკურ მომზადებაში განსაკუთრებული წარმატებებისათვის დაჯილდოებული არიან:

ლენინის ორდენით—პოლკოვნიკი ფ. კ. **არჟენუხინი,** უფროსი ლეიტენანტი ვ. ვ. **ლავიდოვ-ლუჩიცკი,** უფროსი ლეიტენანტი ვ. ი. **ვერევკა,** ლეიტენანტი ვ. ხ. **რეა,** ლეიტენანტი ს. ა. **კუზნეცოვი.**

წითელი დროშის ორდენით სსრ კავშირის ცაკმა დააჯილდოვა—პოლკოვნიკი გ. კ. **ლევინსკი,** მეორე რანგის კაპიტანი ნ. ე. **ბასისტი,** პირველი რანგის სამხედრო ინჟინერი ბ. მ. **კორობკოვი,** მაიორი ე. ვ. **ტოიკი, მაიორი** ნ. ნ. **ნაგორნი** და სხვები, სულ 48 კაცი.

წითელი ვარსკვლავის ორდენით სსრ კავშირის ცაკმა დააჯილდოვა—პირველი რანგის სამხედრო ექიმი ლ. მ. **გოცი,** მესამე რანგის კაპიტანი ს. მ. **სერგეევი,** მესამე რანგის სამხედრო ინჟინერი ა. კ. **რეპინი** და სხვები, სულ 12 კაცი.

საპატიო ნიშნის ორდენით—დაჯილდოებულია სამი კაცი.

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი

პარიზი, 3 ნოემბერი (საკდესი). „ლუმანიტემ" გამოაქვეყნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდეგი მისალმება საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი:

„საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი უერთდება 1917 წლის სახელოვანი ოქტომბრის რევოლუციის XX წლისთავისადმი მიძღვნილ აღფრთოვანებულ მანიფესტაციებს.

იგი ულოცავს საბჭოთა მოქალაქეებს მათს ბრწყინვალე გამარჯვებებს, რომლებიც მოპოვებულია მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგებში სოციალიზმისათვის ორი დიდი მებრძოლის—ლენინისა და სტალინის გენიალურ მითითებათა მეოხებით.

ფრანგი ხალხის თვალწინ საბჭოთა კავშირი სდგას, როგორც დემოკრატიის, თავისუფლებისა და მშვიდობიანობის ქვეყანა.

დემოკრატიის ქვეყანა—საბჭოთა კავშირი ყველა თავის მოქალაქეს, მამაკაცებსა და ქალებს, მოხუცებსა და ახალგაზრდებს, ანიჭებს შრომის, დასვენებისა და განათლების უფლებას.

თავისუფლების ქვეყანა—საბჭოთა კავშირი, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობისა და კაპიტალისტური მოგების მოსპობის მეოხებით, თვითეულ მოქალაქეს ანიჭებს ადამიანის პიროვნების განვითარების შეუზღუდველ შესაძლებლობებს.

მშვიდობიანობის ქვეყანა—საბჭოთა კავშირი მშვიდობიანობას მოწყურებულ ქვეყნების ხალხებს სთავაზობს ძმურ დახმარებას, რაც გამოიხატება მის კოლექტიური უშიშროებისა და ურთიერთდახმარების პაქტების მტკიცე და შორსმჭვრეტელი პოლიტიკით, და იძლევა თავისუფალ ხალხთა ფედერაციის ბრწყინვალე მაგალითს.

დემოკრატიის, თავისუფლებისა და მშვიდობიანობის ქვეყანა—საბჭოთა კავშირი ფაშისტი აგრესორების წინააღმდეგ აბისინიაში, ესპანეთსა და ჩინეთში, ომის ჰიტლერელ გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მათი საზიზღარი აგენტების — კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ ჯაშუშების წინააღმდეგ ჰქმნის ზღუდეს თავისი ეკონომიური და, უწინარეს ყოვლისა, სამხედრო ძლიერებით.

საბჭოთა კავშირმა თავისი სიდინჯით, თავისი სიბრძნით, თავისი კეთილგონიერებითა და თავისი სიმტკიცით უდიდესი სამსახური გაუწია მშვიდობიანობის საქმეს.

ცენტრალური კომიტეტი, დარწმუნებული იმაში, რომ იგი გამოხატავს ფრანგი ხალხის გრძნობებს, რომელიც უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, არის სახალხო ფრონტის ერთგული და აღსავსე ნებისყოფით გასწიოს წინ დემოკრატიის, თავისუფლებისა და მშვიდობიანობის გზით, თავისი ღრმა მადლიერების გრძნობას უცხადებს საბჭოთა კავშირს.

გაუმარჯოს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას, მშვიდობიანობის ბურჯს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს ბოლშევიკების დიად პარტიას!

გაუმარჯოს გამარჯვებათა დიდ ოსტატს ამხანაგ სტალინს!"

ესპანეთის ფრონტებზე

ცენტრალური ფრონტი

2 ნოემბერს მეამბოხეთა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა მადრიდს. არის ადამიანთა მსხვერპლი.

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

რესპუბლიკელთა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა ტერუელ-სარაგოსის რკინიგზის ხაზს. ბომბარდირების გამო ამ ხაზზე შესწყდა სარკინიგზო მიმოსვლა.

სამხრეთის ფრონტი

მდგომარეობა უცვლელია.

მეამბოხეთა ავიაციის ბარბაროსობა

ესპანის სააგენტოს გადმოცემით, 1 ნოემბერს მეამბოხეთა ავიაცია თავს დაესხა სარინიენს. რესპუბლიკელებმა საზენიტო არტილერიით უკუაქციეს მეამბოხეთა თვითმფრინავები. ყუმბარების დაშენას ზიანი არ მოუყენებია.

თავდაცვის სამინისტრო იუწყება, რომ მეამბოხეთა ავიაციამ, რომელიც განაგრძობს ფრონტიდან დაშორებულ მშვიდობიან ქალაქებზე დანაშაულებრივ თავდასხმას, 2 ნოემბერს ყუმბარები დაუშინა ქალაქ ლერიდას. 9 ყუმბარმტყორცნმა ყუმბარები დაუშინა ქალაქ ლერიდის შენობებს, მათ შორის დაწყებითს სკოლას.

სკოლის ნანგრევებში დაიღუპა 50 ბავშვი. მოკლულთა საერთო რიცხვი 120 კაცს უდრის. ამას გარდა, ბევრია დაჭრილი.

მეამბოხეთა თვითმფრინავებმა ყუმბარების დაშენის შემდეგ ძირს დაიწიეს და ტყვიამფრქვევები დაუშინეს სამოქალაქო მოსახლეობას.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავის აღსანიშნავად ა. წ. 6 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, თბილისის ოპერის სახელმწიფო ლენინის ორდენოსანი თეატრის შენობაში მოწვეულია

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის საზეიმო სხდომა

პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად.

თბილისის საბჭოს პლენუმის წევრები, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და თბილისის კომიტეტის, ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის, საქ. ალკკ ც. კ-ისა და თბილისის კომიტეტის წევრები შედიან თავიანთი მანდატებით, დანარჩენები — მისაწვევი ბარათებით.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მშრომელებო! აირჩიეთ უზენაეს საბჭოში ჩვენი სამშობლოს სახელოვანი პატრიოტები, მუშათა და გლეხთა ბედნიერებისათვის, სოციალიზმისათვის შეუდრეკელი მებრძოლები!

(საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისათვის)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესტაფონი

ფეროშენადნობის ქარხნის მუშებმა, მოსამსახურეებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა კავშირის საბჭოს კანდიდატად დაასახელეს

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

წინასაარჩევნო კრება ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დიდი ენტუზიაზმით ჩატარდა.

კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასასახელებლად პირველი სიტყვა აიღო მეტალურგმა ამხ. შ. მესხმა. — კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ იმას,—განაცხადა ამხ. მესხმა, —ვისაც ჩვენი ქვეყანა გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავს, ვინც გახადა იგი უძლიერეს ქვეყნად მთელ მსოფლიოში, ვისი ხელმძღვანელობითაც საბჭოთა კავშირში განხორციელებულია სოციალიზმი, ვინც შეგვიქმნა ბედნიერი და საამური ცხოვრება. ეს არის

ამხანაგი სტალინი.

ამხ. მესხის უკანასკნელი სიტყვები მქუხარე ტაშის გრიალმა დაჰფარა, გაისმის შეძახილები:

— გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს, ჩვენს მამასა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს!

გაუმარჯოს ბედნიერი ცხოვრების კონსტიტუციის შემომქმედს დიდ სტალინს!

ტრიბუნაზე ადიან ქარხნის მოწინავე ადამიანები: თ. ახობაძე, შადრინი, ი. დაშევსკი, პ. ფედოროვი, გ. ხუციშვილი, ა. შალიბოვი, ა. ქლიბაძე და სხვ. მათ ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამხ. მესხის წინადადებას კავშირის საბჭოში ამხანაგი სტალინის დასახელების შესახებ.

— ჩვენ, ფეროშენადნობთა ქარხნის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა,—ნათქვამია ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში, — უდიდესი სიხარულით წამოვაყენეთ, ამხანაგო სტალინ, შენი კანდიდატურა. ჩვენთვის არაფერია იმაზე უფრო სასიხარულო და საამაყო, ვიდრე ხმა მივცეთ შენს კანდიდატურას კავშირის საბჭოში ასარჩევად. ამხანაგო სტალინ, ჩვენო მამავ და მასწავლებელო, გთხოვთ დაგვთანხმდეთ კენჭი იყაროთ ჩვენს საარჩევნო ოლქში.

ჩოხატაური

ჩოხატაურის რაიონის სოფ. ქვემოერკეთის „წითელი ოქტომბრის", შუაგანახლების ბერიას სახელობის, გორაბერეჟოულის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობათა წევრებმა და ჩაის ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ამხანაგი

ლავრენტი პავლეს-ძე ბერია

დიდი იყო ქვემოერკეთის კოლმეურნეთა, აღფრთოვანება და სიხარული, როდესაც წინასაარჩევნო კრებაზე კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს ბოლშევიკთა ნაცადი ხელმძღვანელი, ლენინ-სტალინის პარტიის საყვარელი შვილი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია დაასახელეს.

— ამხანაგო ლავრენტი!—ნათქვამია კრების მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში, — ჩვენ კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" წევრები გასახელებთ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. გთხოვთ დაგვეთანხმოთ კენჭი იყაროთ კავშირის საბჭოს ბათუმის საარჩევნო ოლქში.

შუაგანახლების ბერიას სახელობის კოლმეურნეები ერთსულოვანი სიხარულით შეხვდნენ კავშირის საბჭოში ამხანაგ ლ. ბერიას დასახელებას. ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიაც გამოხატულია მასების სურვილი და მოთხოვნა — ამხ. ლ. ბერია დათანხმდეს კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს ბათუმის საარჩევნო ოლქში.

ასევე ღრმა აღტაცების გრძნობით შეეგებნენ გორაბერეჟოულის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრები კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ლ. ბერიას დასახელებას. სიტყვით გამოსული კოლმეურნეები ერთხმად გამოსთქვამდნენ სურვილს დაესახელებინათ ამხ. ბერიას კანდიდატურა.

ჩვენ ვასახელებთ, — ნათქვამშია ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში, —ამხ. ლ. ბერიას, იმას, ვისი ხელმძღვანელობითაც საქართველოს მშრომელებმა უდიდესი მიღწევები მოიპოვეს, გაანადგურეს კლასობრივი მტრები და წინ მიდიან ახალი გამარჯვებებისაკენ. კოლმეურნეები სთხოვენ ამხანაგ ბერიას კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს ბათუმის საარჩევნო ოლქში.

ჩაის ფაბრიკის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები, ასახელებენ რა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ლ. ბერიას, სთხოვენ მას დასთანხმდეს კენჭი იყაროს ბათუმის საარჩევნო ოლქში.



შინსახკომის ზემო-ავჭალის შრომის კომუნის უფროსი აღმზრდელი ამხ. შჩერბაჩენკო ესაუბრება კომუნარებს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესახებ.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

სამტრედია

სავაგონო დეპოს, ჩაის მექანიკური სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეებმა და ნაჩხეტაურის და ჩხენიშის კოლმეურნეებმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს ამხანაგი

ფილიპე იესეს-ძე მახარაძე

წინასაარჩევნო კრებაზე სიტყვით გამოვიდა დეპოს სტახანოველი მუშა-დურგალი და განაცხადა: მე დიდიხანია ვმუშაობ, ვმუშაობდი სულთამხუთავ მეფის დროსაც, გაიძვერა და გათახსირებული მენშევიკების ბატონობის დროსაც, და მოწმე ვარ იმისა, რომ ხელისუფლების ორგანოებში კანდიდატების დასახელებას არავინ გვეკითხებოდა, ჩვენს ბედს მაშინ თავადაზნაურები და ჩინოვნიკები განაგებდნენ, უფლება არ გვქონდა სიტყვა გვეთქვა, მართვა-გამგეობაში მონაწილეობა მიგვეღო.

საამური და ბედნიერი ცხოვრება საბჭოთა ხელისუფლებამ მოგვანიჭა. გვახარებს და აღგვაფრთოვანებს სტალინური კონსტიტუციით მონიჭებული უფლებები. ბედნიერი ვართ იმით, რომ უფლება გვაქვს უზენაეს საბჭოში ავირჩიოთ ის, ვისაც ვენდობით, ვინც ნამდვილად გამოხატავს მშრომელთა ინტერესებს. კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ ამხ. ფილიპე მახარაძეს, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში.

დიდი სტალინის ხელმძღვანელობით იგი გასაბჭოების დღიდან საბჭოთა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სათავეში დგას და დიდი მზრუნველობით ხელმძღვანელობს ჩვენს აყვავებულ ქვეყანას.

დეპოს სტახანოველმა მუშებმა ვაშაკიძემ, კოხრეიძემ და სხვ. წამოაყენეს წინადადება—ეთხოვოს ამხანაგ ფილიპე მახარაძეს კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების სამტრედიის საარჩევნო ოლქში, მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა საერთო კრებამ ერთსულოვნად მიიღო ეს წინადადება.

ჭიათურა

კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ორდენოსანი

ამხ. ვასილ სამხარაძე

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ახალგაზრდა ინჟინერი

ამხ. დავით კაპანაძე

კრებაზე, რომელსაც 500 კაცი დაესწრო, სიტყვით გამოვიდა სტახანოველი მუშა ამხ. ბოყოველი. მან სთქვა:

— კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ იმას, ვინც საქმით დაამტკიცა თავისი უსაზღვრო ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისადმი, ვასახელებ ჩვენი მაღაროს დირექტორს ამხ. ვასილ სამხარაძეს.

ამხანაგ სამხარაძეს ვასახელებ იმიტომ, რომ მან პირველად ასწია სტახანოვური მოძრაობის დროშა საქართველოს მარგანეცის მრეწველობაში, მან აამაღლა შრომის ნაყოფიერება, რითაც საუკეთესო მაგალითი უჩვენა მაღაროს დანარჩენ მუშებს.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე: მაღაროს პარტკომის მდივანი ამხ. ბიწაძე, ინჟინერი ფერაძე, ხუტუნიშვილი, გაფრინდაშვილი და გაგუა. დასახელებული კანდიდატურა ყველამ ერთხმად მოიწონა, კრება სთხოვს ამხანაგ სამხარაძეს კენჭი იყაროს ჭიათურის საარჩევნო ოლქში.

ლენინის სახელობის მაღაროს მუშა-მოსამსახურეთა და სპეციალისტთა საერთო კრების სახელით ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ვ. გეწაძემ დაასახელა სტალინის სახელობის მაღაროს ახალგაზრდა სპეციალისტი ინჟინერი ამხ. დავით კაპანაძე.

სიტყვებით გამოსულებმა ამხ. კასრაძემ, ომიაძემ, ლომიძემ და სხვებმა მოიწონეს ამხ. დავით კაპანაძის კანდიდატურა.

მთელმა კრებამ ინჟინერ ამხ. დ. კაპანაძის კანდიდატურა ერთხმად მიიღო.

ბაქოს ლენინის საარჩევნო ოლქი

წინასაარჩევნო საოლქო თათბირმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა ამხანაგები ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, კ. ე. ვოროშილოვი, მ. ი. კალინინი, ა. ა. ჟდანოვი, ნ. ი. ეჟოვი, ლ. პ. ბერია, მირ ჯაფარ ბაგიროვი, მ. ა. ევსეენკო.

ბაქო, 3 ნოემბერი (საქდესი). ბაქოს—ლენინის საარჩევნო ოლქის მშრომელთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 800 წარმომადგენელი გამოცხადდა საოლქო წინასაარჩევნო თათბირზე. განსაკუთრებული ერთსულოვნობით და მქუხარე ოვაციით იქნენ დასახელებული კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ამხანაგები ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, კ. ე. ვოროშილოვი, მ. ი. კალინინი, ა. ა. ჟდანოვი, ნ. ი. ეჟოვი, ლ. პ. ბერია და მირ ჯაფარ ბაგიროვი.

ტრესტ „აზიზბეკოვნეფტის" ბურღვის ოსტატმა ამხ. ხაკიმ გაინულინმა, რომელიც თათბირზე გამოვიდა, კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ახალგაზრდა ინჟინერი, ამჟამად ტრესტ „ლენინნეფტის" მმართველი მიხეილ ანდრიანის-ძე ევსეენკო.

— ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ ამხ. ევსეენკოს,—ამბობს ამხ. გაინულინი,—ჩვენ ყველანი ვხედავთ, თუ როგორ ბრწყინვალედ ამართლებს იგი პარტიის ნდობას მუშაობაში. მისი ხელმძღვანელობით „ლენინნეფტის" სტახანოველებმა, რომლებიც ახდენენ მტრის ნაშოლარების აღმოფხვრას, მოკლე ვადაში გადააქციეს წინათ ჩამორჩენილი თავიანთი ტრესტი მოწინავე ტრესტად.

ამხ. გაინულინის წინადადებას თათბირმა ერთხმად დაუჭირა მხარი.

◆

ბორჯომელები ემზადებიან არჩევნებისათვის

(„კომუნისტის" საქ. კორესპონდენტისაგან)

ბორჯომის რაიონში გაცხოველებული მზადებაა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის. ბორჯომის რაიონი დაყოფილია 33 საარჩევნო უბნად, (სოფლად 21 საარჩევნო უბანია, ხოლო ქალაქად—12). შექმნილია საუბნო საარჩევნო კომისიები.

ამას წინათ საუბნო საარჩევნო კომისიათა თავმჯდომარეებსა, მოადგილეებსა და მდივნებთან ჩატარდა საინსტრუქციო თათბირები. თათბირმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი საარჩევნო უბნების მომზადება-მოწყობისათვის.

რაიონში ფართოდ გაიშალა საარჩევნო კანონის პროპაგანდა.

პარტრაიკომის პარტკაბინეტთან შექმნილია ხუთდღიანი კურსები დებულების შემსწავლელი წრეების ხელმძღვანელთათვის. კურსების მეცადინეობა სისტემატურად მიმდინარეობს. ჯერჯერობით ეს კურსები 30-მა კაცმა დაამთავრა ახლა კი ახალი წყება მეცადინეობს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკები და სამკითხველოები სუსტად ეხმარებიან დებულების შემსწავლელ წრეებს.

უკეთ მოვემზადოთ არჩევნებისათვის

(სტალინირი, საქ. კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის ცაკის დადგენილებით ეროვნებათა საბჭოს ერთერთ საარჩევნო ოლქად დამტკიცებულია სტალინირის სასოფლო საარჩევნო ოლქი. ამ ოლქში შექმნილია 23 საარჩევნო უბანი.

ამომრჩეველთა სიების შედგენა 22 საარჩევნო უბანში უკვე დამთავრებულია, ახლა მიმდინარეობს ამომრჩეველთა სიების დაზუსტება და ალფაბეტური წესით დალაგება.

საარჩევნო უბნების შენობათა გამოყოფისათვის ზოგან ჯერ კიდევ არაფერი გაუკეთებიათ. არის ისეთი საარჩევნო უბნები (ბისოითა, ინაური, დვალიანთკარი, გოგეთი და სხვ.), სადაც ჯერ არც კი იციან, რომელ შენობაში ჩაატარონ არჩევნები. ეს იმიტომ, რომ სტალინირის რაიაღმასკომს ამ სოფლებში საარჩევნო უბნებისათვის შენობების გამონახვაზე არ უზრუნია. საერთოდ უნდა ითქვას, რომ რაიონში საარჩევნო უბნებისათვის შენობების გამონახვასა და მოწყობას ყურადღება არ ექცევა.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სტალინირის სასოფლო საარჩევნო ოლქში დაახლოვებით 15.000 ამომრჩეველია. ახალი საარჩევნო კანონის შესასწავლად შექმნილია 203 წრე, რომლებშიაც ჩაბმულია მხოლოდ 9.000 ამომრჩეველი. წრეების მეცადინეობა ყველგან სათანადო სიმაღლეზე არ არის დაყენებული. მაგალითად, გერის სასოფლო საბჭოში არჩევნების დებულების შემსწავლელ წრეებს ჯერაც არ დაუწყიათ მუშაობა.

საარჩევნო კამპანიის დაწყებასთან დაკავშირებით კოლმეურნეთა რიგებიდან საუკეთესო აგიტატორები გაიზარდნენ.

სოფლად საკმაოდ არიან კულტურული ძალები: ექიმები, ინჟინრები, მასწავლებლები, რომელთაც შეუძლიათ ფართოდ გაშალონ არჩევნების დებულების პროპაგანდა. საჭიროა მხოლოდ რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ისე გაშალონ მუშაობა, რომ აქტიურად ჩააბან ისინი არჩევნებისათვის მოსამზადებელ მუშაობაში.

მ. გიორგაძე.

შალვა აფხაიძე

გიორგი კაჭახიძე

არჩევნებისაკენ სტალინური დროშით მიმავალნი

რა თვალი დაიტევს ამ სილამაზეს, წინ რომ იშლება კახეთის უმშვენიერესი მაღლობებიდან, რომელსაც სიღნაღი ეწოდება, და რომელიც შემოდგომის ამ თვეში ასე ხშირად ჰყავს ნისლს ტყვეობაში, რა გული დაიტევს სიხარულს, რომელსაც იწვევს საბჭოთა ადამიანში ის დიადი სურათი ქვეყნის გარდაქმნისა, რომლის ავტორი და შემოქმედია ამხანაგი **სტალინი**. დაწყებული ახალი ადამიანით, რომელიც ყოველ კოლმეურნეში ცოცხლობს, და გათავებული ახალი ნერგებითაც კი,—ყველაფერი სტალინით სუნთქავს, სტალინის სახელით ცოცხლობს, მისი უსაზღვრო სიყვარულით ამაყობს.

ველზე გაჭიმული მეურნეობები, ფერდობებზე შეფენილი ზვრები, ამაყად ამართულ მზესუმზირას ფართობები, დალისტნის ნისლივით გაშლილი ცხვრის ფარები, ახალ სოფლებში უხვად და მდიდრად ჩაწინწკლული ახლად-ახალი სახლები, კრამიტითა და თუნუქით გადახურულნი, თამბაქოს მწვანე ველები, საკოლმეურნეო საბძელები და, რაც მთავარია, ღარიბი გლეხობის ფენებიდან გამოსული ახალი ადამიანები თავიანთი ბედნიერი ცხოვრებით — აი სისხლხორცეული გამოხატულება ჩვენი დიდი სტალინური კონსტიტუციისა.

ეს მეურნეობები, ხალხის ეს სიმდიდრე გადააქციეს არამზადა ტროცკისტულმა ნაძირალებმა თავიანთი მავნებლური მუშაობის ობიექტებად. გამცემლებმა აქ გააბეს ქსელი ხალხის ყოველი ჯურის მტრებთან—დაწყებული კულაკთა ნაშიერებიდან, და გათავებული ძველი ჟანდარმული წყობილების ერთგული ქოფაკებით, იმ მიზნით, რომ ყოველგვარი საშუალებით ძირი გამოეთხარნათ, განადგურების პირამდე მიეყვანათ მშრომელი გლეხობის უდიდესი მიღწევები.

მაგრამ ფიქრადაც არ გაივლოთ, რომ ნაძირალებს მთავარი მიზნისათვის მიეღწიოთ, რომ მათ ჩაეკლათ კოლმეურნე გლეხობაში რწმენა და ნდობა ახალი საკუთრების, საკოლმეურნეო საკუთრების მიმართ. პირიქით, წყეულმა გარეწრებმა საწინააღმდეგო შედეგს მიაღწიეს. კოლმეურნე გლეხობამ თვალნათლივ დაინახა ნიღაბაგლეჯილი თავისი დაუძინებელი მტერი, ტროცკისტულ - ბუხარინული ნაგავი, თვალნათლივ დაინახა, ვინ აბრკოლებდა მის წინსვლას, ვინ უქმნიდა დაბრკოლებას მის კულტურულ და ნივთიერ ზრდას, ვინ აძლევდა ნიავქარს მის შრომას, თვალნათლივ დაინახა თავისი დაუძინებელი მტერი და... ვერ ნახავთ ვერცერთ კოლმეურნეს, რომ იგი კრულვითა და ზიზღით, დაუშრეტელი სიძულვილით არ იხსენიებდეს მათ სახელებს.

თუ გინდათ ახალი ცხოვრების მეტი ცეცხლით აინთოთ, განიცადოთ ის დაუშრეტელი წყარო შემოქმედებისა, რომელსაც ცხოვრების ოპტიმისტური ათვისება ჰქმნის, აი ეს საკოლმეურნეო გლეხობა, უნდა ნახოთ. რა შედარებაა! რა დიდი ოპტიმიზმით, შემოქმედებითი ოპტიმიზმით არის განათებული მისი ცხოვრება! საბჭოთა ხელისუფლებისა, კომუნისტური პარტიისა და მისი სულისა და გულის—დიდი **სტალინის** სიყვარულით არის გამთბარი დღევანდელი სოფლის ცხოვრება.

როგორ გარდაიქმნა სოფლის სურათი ამ ოცი წლის განმავლობაში! რა უდიდესი ძვრები მოახდინა ოქტომბრის რევოლუციამ სოფლის ცხოვრებაში. სადღაა ძველი მიყრუებული, დაბეჩავებული, უფლებააყრილი, ბნელში ჩაყურყუმალავებული სოფელი — თავისი გამოუთქმელი ჩამორჩენილობით, აუწერელი სილატაკით. წარსულს ჩაბარდა ძველი ღარიბი, მიწას მოკლებული, გაუნათლებელი გლეხობა.

ახალი ადამიანია დღეს სოფლის ბატონ-პატრონი. კოლმეურნეა დღეს სოფლის ცხოვრების ტონის მიმცემი. უძვირფასესი და უმდიდრესი, რაც საბჭოთა წყობილებამ შეჰქმნა, რასაც სტალინურმა კონსტიტუციამ სული შთაბერა ახალ მუშასთან ერთად — ეს არის სოფლის კოლმეურნე, სოციალიზმის ცხოველმყოფელი სხივებით შემკული.

იგი მთასავით მაღლა დგას შეგნებითა და მატერიალურად. ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი საბჭოთა წყობილების სიყვარული, რადგანაც იცის, რომ ამ წყობილებამ ამოიყვანა იგი სილატაკის ჭაობიდან, სოციალიზმმა მისცა მას საამური და ბედნიერი ცხოვრება, სტალინურმა კონსტიტუციამ აამაღლა იგი კულტურულად და ნივთიერად.

საქობოს სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრებაა. კოლმეურნენი უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულებას იხილავენ.

— რატომ ვამაყობ და მიყვარს სტალინი? —ამბობს ნამდვილი ხალხური სურათოვანი ენით შავგვრემანი, ნაყვავილარი, ბრგე, არაპარტიული კოლმეურნე **მიხა კაკაშვილი**,—იმიტომ რომ, რაც კი რამ მაბადია, ყველაფერი **სტალინმა** მომცა. ობოლი ბიჭი ვიყავი, სახლი არ მქონდა, კარი არ გამაჩნდა. 17 წელიწადი ბატონს ვემსახურე მოჯამაგირედ. 9 წელიწადი მეველედ ვიყავ. როგორც კი მოეწყო კოლმეურნეობა, —მასში შევედი. არაფერი არ გამაჩნდა. დღეს ახალი სახლი მაქვს, შეძლება მაქვს. კიდევ შევიძენ. თავისუფალი დრო მეტი მაქვს, ვკითხულობ, ვსწავლობ. ყველაფერი ეს სტალინმა მომცა, ისე როგორც მთელ მშრომელ ხალხს.

ჩვენს მინდვრებზე ტრაქტორები გუგუნებენ. ყრუ ხომ არა ვართ, რომ ვერ გავიგონოთ ეს გუგუნი? ბრმები ხომ არ ვართ, რომ ვერ დავინახოთ ეს მშვენიერი ცხოვრება? პირსისხლიანი ჯაშუშ-დივერსანტები— ტროცკისტები შეეცადნენ და ბევრი ზიანიც მოგვაყენეს. ვერაფერი დაგვაკლეს მაინცდამაინც. უფრო გამოვფხიზლდით. ერთი თვალი გვქონდა, ორი გამოგვება. უზენაესი საბჭოს არჩევის დროს ჩვენი მოვალეობაა ავირჩიოთ ჩვენი ინტერესების დამცველი. ის ვინც ხალხს ემსახურება, ის, ვინც ხალხისთვის ზრუნავს. ასეთები კი ჩვენი **დიდი სტალინი** და მისი ერთგული თანამებრძოლებია. სტალინმა მოგვანიჭა ეს კმაყოფილი ცხოვრება და ჩვენც, როგორც ერთი კაცი, მას მივცემთ ხმას.

— არც მე ვიყავ უკეთეს მდგომარეობაში, 13 წელიწადი მეც მოჯამაგირედ ვიყავი მოიჯარადრესთან. განაგრძობს სიტყვას ხანდამჩნეული კოლმეურნე **შაქრო მაღლიშვილი**. — ფეხშიშველა ვიყავი, მწყურვალი და მშიერი. 10 გირვანქა ჭადის ფქვილი რომ მივეღო მთელი კვირა წელში გაუსწორებლად უნდა გვემუშავნა მემამულესთანი. დღეს სიზმრადაც კი ველარ ვნახავ იმ ტანჯვას, როგორსაც მაშინ განვიცდიდი. დღეს ბედნიერი ცხოვრება მაქვს. ავად ვიყავი, მაინც 257 შრომადღე გამოვიმუშავე. მავნებლებს რომ არ შეეშალნათ ხელი, მოსავალს ვერ მოვერეოდით. მაინც 700 კილო ხორბალი შემხვდება. თუთუნიც 800 მანეთისა შემხვდება. ცოლი მყავს, ხუთი ბავშვი. უფროსი 13 წლის ვაჟი მეექვსე კლასშია. ორი სხვაც სწავლობს. ამის შეძლება სტალინურმა კონსტიტუციამ მომცა. გამიგონია,

„რა გინდ რომ ქერქი შეიძროს, გველი აგრეთვე გველია".

ეს გველები შეეცადნენ ჩვენი კოლმეურნეობის დანგრევას. ზიანი მოგვაყენეს, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით სტალინისა და იმ ამხანაგების გარშემო, რომლებიც ჩვენს ინტერესებს ემსახურებიან, რომლებმაც კეთილი ცხოვრება შეგვიქმნეს. მთელი ჩვენი ძალღონით დავეხმარებით ჩვენს **ბერიას** მოსისხლე მტრებთან ბრძოლაში.

— ვინ აღირსებდა წინათ მოჯამაგირეებს უმაღლეს სასწავლებელს? —განაგრძობს სიცოცხლით სავსე კომკავშირელი **იოსებ მჭედლიშვილი**. — ვინ გაგვაჭაჭანებდა წინათ სკოლაში? მე წერა-კითხვა არ ვიცოდი, ვერც ვისწავლიდი. ცხოვრება გამჭეჭყავდა. კაცი არ გამოჩნდებოდა, რომ უფსკრულიდან ამოვეყვანე. დღეს კი საბჭოთა ხელისუფლებამ მიშველა. ამომათრია ძირიდან, გამზარდა, წერა-კითხვა მასწავლა და ახლა კოლმეურნეობის ერთი დამხმარე ძალა ვარ. არაფერი ვიყავი და მონაგარიშე ვარ. ახლანდელი არჩევნები ძალიან განსხვავდება ძველი არჩევნებისაგან. ჩვენ გვაქვს ნამდვილი დემოკრატიული, სოციალისტური კონსტიტუცია. ჩვენ გვაქვს პირდაპირი, თანასწორი და ნამდვილი საყოველთაო არჩევნები. ეს კონსტიტუცია თვალისჩინივით უნდა დავიცვათ. დავიცავთ კიდეც. ჩვენ ოქტომბრის რევოლუციის ჰაერით ვსუნთქავთ, საბჭოთა ხელისუფლებამ და საყვარელმა **სტალინმა** შეგვიქმნა ბედნიერი და საამური ცხოვრება ახალგაზრდობას და ფიცსა ვდებთ, რომ მომავალში მეტ სიფხიზლეს გამოვიჩენთ, არ გავაჭაჭანებთ ჩვენს შორის ხალხის მტრებს და საბჭოში ავირჩევთ მხოლოდ ჩვენი ინტერესების ერთგულ დამცველებს.

ასე მეტყველებს დღეს საკოლმეურნეო სოფელი. ერთი აზრითა და გრძნობითაა იგი გამსჭვალული: აირჩიოს უზენაეს საბჭოში ღირსეული შვილნი თავისი ქვეყნისა, პატიოსანი შვილნი დიდი სამშობლოსი. ეს გრძნობა და ფიქრი მშვენივრად გამოხატა მოხსენებული კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილემ, პარტორგანიზატორმა და საარჩევნო უბნის კომისიის წევრმა— შედარებით ახალგაზრდა და ცეცხლივით მკვირცხლმა **მიტო კუტიაშვილმა**. ეს არის, თუ გნებავთ, დაბალი ფენებიდან წამოსული ახალი ადამიანის სახე.

ყოველი მუშისა და გლეხის მოვალეობაა მისცეს ხმა ბრძოლებში გამობრძმედილ, სტალინურ ბრძოლებში გაკაჟებულ ამხანაგებს. ჩვენმა კოლმეურნეობამ მწარე გაკვეთილი გამოიარა. საზიზღარი მავნებლები შეეცადნენ მის დაშლასა და განადგურებას. მათი მავნე მუშაობის გამო მოსავლის ნახევარი აუღებელი დაგვრჩა.

სტალინური კონსტიტუცია ყოველგვარ პირობას გვიქმნის იმისათვის, რომ ჩვენი კოლმეურნეობა მოწინავეთა რიგებში ჩავაყენოთ. ვის შეუძლია არ მოსწონდეს დღევანდელი ცხოვრება? მხოლოდ იმას, ვინც არ მუშაობდა და ფუფუნებაში ცხოვრობდა. ჩვენ კი, რომლებსაც ერთი ნატეხი ყველისთვის იძულებულს გვხდიდნენ მოჯამაგირედ დავდგომოდით მემამულეს — დღევანდელი ცხოვრების შვილნი ვართ. ზედმიწევნით შევისწავლით არჩევნების დებულებას და გავაძლიერებთ სიფხიზლეს, რათა საბჭოთა ორგანოებში არ გაძვრნენ ხალხის მტრები. საბჭოთა კავშირის მთელ მშრომელებთან ერთად ჩვენი გულისყური მიმართულია საყვარელი **სტალინისადმი**, რომელმაც ხალხის მტრებთან და მოღალატეებთან განუხრელი და მტკიცე ბრძოლით ეს მშვენიერი ცხოვრება შეგვიქმნა.

კანონიერი სიამაყითა და რწმენით ხვდება უზენაესი საბჭოს არჩევნებს ნუკრიანის კოლმეურნეთა მასა. „ლენინის ანდერძი" — უძველესი კოლმეურნეობაა.

და მართლაც, უნდა ნახოთ, როგორ გაზრდილა ეს, ოდესღაც დაბეჩავებული გლეხობა, გაზრდილა შეგნებით, მორალურად. ყოველი კოლმეურნე თავისი ყოველი ძარღვით გრძნობს იმ დიდ ზღვარს, რომელიც წარსულსა, კერძო საკუთრების საფუძველზე აგებულ სოფელსა, და დღევანდელ საკოლმეურნეო საკუთრებაზე დაყრდნობილ სოფელს შორის არსებობს. გრძნობს და ამას ამჟღავნებს თავისი სიტყვით, თავისი გამოსვლით და, რაც მთავარია, საქმით, თავდადებული მუშაობით. შავი ფერებით იხატება გამოსულ ამხანაგების მოგონებებში წარსული ჩაგვრის სურათები. ეს იმ ცხოვრებიდან ამოღებული სურათებია, რომელიც არასდროს აღარ განმეორდება.

აი ერთი დამახასიათებელი სურათი შავბნელი წარსულისა, რომელსაც ასეთი მეტყველი და მსუქანი ფერებით ხატავს **გიორგი ბეროშვილი**.

— წარსული და ახალი ცხოვრება?—ამბობს იგი. როგორ შეიძლება მათი შედარება. წარსული ბნელი იყო, ტანჯვითა და წამებით სავსე. აი როგორი იყო ჩემი წარსული: პატარა ვიყავი. ოსტატთან მიმაბარეს შეგირდად. სამი წელიწადი დავყავი. ოსტატი არაფერს მასწავლიდა. არ შედიოდა ეს მის ინტერესებში. ორი წელიწადი კიდევ ქარგლად დავყავი. დღედაღამე მოსვენება არ მქონდა. აღარ შემეძლო მეტი. წელიწადში თუმნად როგორ უნდა მემუშავნა? ობოლი ვიყავი.

რამდენიმე ჩემსავით ობოლი გურჯაანში წავედით სამუშაოდ. მახსოვს გურჯაანს მივუახლოვდით. ვხედავთ, თავადი მობრძანდება ცხენით. თან მოყრავი მოსდევს. წამოვცვივდით. ქუდი მოვუხადეთ. ერთი ვერ ადგა. ფეხი სტკიოდა.

— ადექი, შე ვირო — დაჰკივლა თავადმა.

ადგა საწყალი, როგორც იქნა. მიუახლოვდა თავადი.

— არ გეკადრებოდა ქუდი მოგეხადა? — უყვირა და ყბაში ტლაშანი მოადინა.

— მობრუნდი,— დასჭყივლა ისევ და ახლა მეორე ყბაში გააწნა სილა. —წაეთრიე და გახსოვდეს, რომ ბატონს ქუდის მოხდა უნდა,— უთხრა საწყალს, ჰკრა მათრახი ცხენს და არხეინად გაუდგა გზას.

ასე იყო უწინ. ახლა? ახლა ჩვენი თავი ჩვენ გვეკუთვნის, ჩვენი ცხოვრების ბატონ-პატრონნი ჩვენა ვართ. მიწა ჩვენია, ვინც იმუშავებს, მხოლოდ ისა სჭამს. უქნარს და ზარმაცს ჩვენში ადგილი არა აქვს. ქვეყანა ჩვენია. ვინ მოგვცა მერე ასეთი ცხოვრება? დიდმა **სტალინმა** შეგვიქმნა, ამხანაგებო, საბჭოთა ხელისუფლებამ მოგვანიჭა ადამიანური ცხოვრება და ვინ იქნება ისეთი შეუგნებელი და გაუნათლებელი, რომ თავისთავს ზიანი მიაყენოს, თავისთავს უღალატოს? არც ერთი ჭკუათმყოფელი. რა თქმა უნდა, ჩვენ სწორედ სტალინის საქმის ერთგულ მუშაკებს ავირჩევთ უზენაეს საბჭოში, რომელიც ჩვენთვის საჭირო კანონებს გამოსცემს.

ამას გრძნობს ყოველი კოლმეურნე. ასე ლაპარაკობს ყოველი გამოსული ამხანაგი და ყოველი მათგანი სინამდვილის ახალ ფაქტს აღნიშნავს, ყოველი მათგანი ცალკეულ დიდ მიღწევას უსვამს ხაზს.

— ისტორიას არ ახსოვს, რომ გლეხ ქალს იმის უფლება ჰქონოდეს, რაც ჩვენ სტალინურმა კონსტიტუციამ მოგვანიჭა — ამბობს სანდომიანი სახის კოლმეურნე ქალი **თიკო მაიზმელაშვილი**. ამხანაგო ქალებო, მოგიწოდებთ ავირჩიოთ ისეთი პირები, რომლებიც ამისი ღირსნი იქნებიან.

სტალინური კონსტიტუცია — ეს გვირგვინი ჩვენი მიღწევებისა და წარმატებებისა — საკოლმეურნეო გლეხობის წმიდათაწმიდაა. სტალინური დროშით მიდის ის გლეხობა უზენაესი საბჭოს არჩევნებისაკენ, დარწმუნებული იმაში, რომ აქა-იქ მიმალული მტერი ვერ შეძლებს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში გაძრომას.

◆

თბილისის მშრომელთა გამოხმაურება ამხანაგ სტალინის სიტყვაზე

> ...ხალხის ზრდა სამეურნეო მუშაკებისადმი დიდი საქმეა, ამხანაგებო. ხელმძღვანელები მოდიან და მიდიან, ხალხი კი რჩება. მხოლოდ ხალხია უკვდავი. ყოველივე დანარჩენი წარმავალია. ამიტომ უნდა შევაფასოთ ხალხის ზრდის ფასი. ამიტომ უნდა შეგვეძლოს ხალხის ზრდის დაფასება.
>
> **ი. სტალინი**

მშობლიური ზრუნვა ადამიანებზე

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელი ქარხნის კოლექტივი უდიდესი ენტუზიაზმითა და სიხარულით გაეცნო ხალხთა ბელადის გამოსვლას მეტალურგიისა და ქვანახშირის სტახანოველთა და ხელმძღვანელ მუშაკთა მიღებაზე.

— მშობლიური სტალინის სიტყვაში ნათლად მოსჩანს ზრუნვა, დახმარება ადამიანებისადმი, საშუალო და პატარა მუშაკებისადმი, ჩვენი პარტია წარმართავს, ხელმძღვანელობს, აფასებს თვითეული ჩვენგანის მუშაობას. ეს სიტყვა დიდ საბრძოლო ამოცანას გვაკისრებს,—ამბობდნენ კრებაზე გამოსული მუშები.

— 30 წელზე მეტია, რაც ქარხანაში ვმუშაობ,—ამბობს სამჭედლო საამქროს სტახანოველი ამხ. თხელიძე.—ბევრი წვალება და ტანჯვა გამოვიცადე ძველად ექსპლოატატორების ხელში. ახლა ადამიანი ამაყად გრძნობს თავს. პარტია, მთავრობა, დიდი სტალინი სიყვარულით უვლიან და ზრდიან ადამიანებს. მე ვკისრულობ გეგმის გადაჭარბებით შესრულებას.

ვალდებულებები აიღეს აგრეთვე სატენდერო საამქროს სტახანოველმა ამხ. თოდრიამ. თოდრიას ბრიგადამ იკისრა გეგმით გათვალისწინებული 9 ტენდერის ნაცვლად 14 ტენდერის გამოშვება თვეში.

ქარხნის მთელმა კოლექტივმა უდიდესი მადლობა გამოსთქვა დიდი სტალინისადმი. ადამიანთა მიმართ, საშუალო და პატარა ხელმძღვანელთა მიმართ მშობლიური ზრუნვისა და დახმარებისათვის.

ნოემბრის გეგმას ვადამდე შევასრულებთ

თბილისის 26 კომუნარის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები უდიდესი ინტერესით გაეცნენ ამხანაგ **სტალინის** სიტყვას მეტალურგიისა და ქვანახშირის მრეწველობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სტახანოველთა მიღებაზე კრემლში.

კრებაზე გამოსული მუშები და ხელმძღვანელი მუშაკები ხაზს უსვამდნენ ამხანაგ სტალინის უდიდეს დახმარებას, მშობლიურ ზრუნვას ხელმძღვანელ მუშაკებისადმი, სტახანოველებისადმი.

ბელადის სიტყვის საპასუხოდ მუშებმა აიღეს ახალი ვალდებულებანი. სახარატო საამქროს სტახანოველმა ამხ. ფარიზოვმა იკისრა 25 ნოემბრისათვის გეგმა შეასრულოს 200 პროცენტით.

კრებაზე გამოვიდნენ აგრეთვე ქარხნის დირექტორი გ. გორდეზიანი, — სტახანოველები სიმონ ჭოხონელიძე, ვახტანგ ზუბიაშვილი და სხვ.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა ნოემბრის გეგმის ვადაზე ადრე შესრულება, საზობინაო მანქანების 200 თითისტარის დამზადება.

თბილისის მაუდის ფაბრიკაში

3 ნოემბერს, დილის 11 საათზე, შესვენების დროს გაიმართა თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშა - მოსამსახურეთა 700 კაცისაგან შემდგარი სახელდახელო მიტინგი. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მიერ მეტალურგიული და ქვანახშირის მრეწველობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სტახანოველთა კრემლში მიღების შესახებ.

სიტყვებით გამოსული ფაბრიკის საუკეთესო სტახანოველები — ვ. ციცაგი, ე. გაბისონია, ა. სურიელაშვილი და ფაბრიკის მთელი კოლექტივი აღნიშნავდნენ უდიდეს აღფრთოვანებას, რაც მათში მეტალურგიისა და ქვანახშირის მრეწველობის ხელმძღვანელ მუშაკთა წინაშე ამხანაგ სტალინის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ გამოიწვია.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: ამ საუბრიდან ჩვენ, მაუდის ფაბრიკის ყველა მუშამ და ხელმძღვანელმა, სათანადო დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ჩვენი მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ჩვენი ფაბრიკის ხელმძღვანელმა ამხანაგებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამხანაგი სტალინის მითითებას პატარა და საშუალო ხელმძღვანელების შესახებ, უნდა შეუქმნან მათ მუშაობის ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ჩვენი პარტიისა და მთავრობის ყველა მითითების შესრულებას.

წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

თბილისის კამოს სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ 10 თვეში შეასრულა წლიური გეგმა. 317 სახარატო ჩარხის ნაცვლად 1 ნოემბრისათვის გამოუშვა 375 ჩარხი. ქარხანამ წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.380.000 მანეთის ნაცვლად გამოუშვა 2.992.500 მანეთის პროდუქცია.

საერთო პროდუქციის წლიური გეგმა ფულადი გამოხატულებით შესრულდა 125,6 პროცენტით. ქარხნის კოლექტივმა იკისრა წლის ბოლომდე 600.600 მანეთის პროდუქციის გამოშვება. ფაბრიკა წლის ბოლომდე დამატებით გამოუშვებს 150 ათასი მანეთის პროდუქციას.

○

თბილისის შამპანურის ქარხანამ 300.000 ბოთლი შამპანურის დატირაჟების (ბოთლებში ჩასხმა) ნაცვლად 2 ნოემბრისათვის დაატირაჟა 410.000 ბოთლი — წლიური გეგმის 136,6 პროცენტი.

○

თბილისის საგალანტერიო ფაბრიკამ „კომსომოლკამ" 25 ოქტომბრისათვის შეასრულა წლიური გეგმა. 4.491.6 ათასი მანეთის პროდუქციის ნაცვლად ფაბრიკამ გამოუშვა 4.504.4 ათასი მანეთის პროდუქცია — გეგმის 100,3 პროცენტი.

○

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის მეყალიბეთა ბრიგადამ, რომელსაც ამხ. პეტრე ქავარენკო ხელმძღვანელობს, 29 ოქტომბერს დაამყარა ახალი რეკორდი — 248 საათის სამუშაო შეასრულა 90 საათში, გეგმა შეასრულა 330 პროცენტით. მთლიანად ბრიგადამ გეგმით გათვალისწინებულ 123 მან. 15 კაპიკის ნაცვლად გამოიმუშავა 654 მან. 24 კაპიკი.

ბრიგადა იღებს ვალდებულებას კიდევ უფრო გააუმჯობესოს მუშაობა.

მაღალ მაჩვენებლებს იძლევა აგრეთვე სამჭედლო საამქროს სტახანოვური ბრიგადა, რომელსაც ამხ. გუგულაშვილი ხელმძღვანელობს. ამხ. გუგულაშვილმა სამჭედლო საამქროში შესცვალა ორდენოსანი დავით ჰიჰინაძე. ბრიგადა მაღალ გეგმას 200-300 პროცენტით ასრულებს.

25 ოქტომბერს ბრიგადამ გეგმა შეასრულა 1170 პროცენტით.

ტყიბული აუმჯობესებს მუშაობას

ოქტომბრის მესამე დეკადა

ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებმა უკანასკნელ დროს გააუმჯობესეს მუშაობა: 31 ოქტომბერს მაღაროებმა ამოიღეს 967 ტონა ქვანახშირი,—გეგმის 125, 7 პროცენტი. მათ შორის ლენინის სახელობის შახტმა ამოიღო 475 ტონა, სტალინის სახელობისამ—492.

ოქტომბრის მესამე დეკადაში ორივე მაღარომ ამოიღო 6.876 ტონა ქვანახშირი, ანუ გეგმის 99,4 პროცენტი, მათ შორის ლენინის სახელობის შახტმა 3197 ტონა, — 120,5 პროცენტი, სტალინის სახელობისამ 3.679—86,4 პროცენტი.

სასწავლო ნივთებით ცუდად გვამარაგებენ

კოოპერატიულმა ორგანოებმა იკისრეს სოფლის სკოლების სასწავლო ნივთებით მომარაგება, მაგრამ ეს ვალდებულება თელავის რაიონში არ სრულდება. ვინ არის აქ დამნაშავე, რაიკოოპკავშირის გამგეობა თუ ცეკავშირი, ეს ჩვენ არ ვიცით.

თელავის რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა დროულად დაიწყეს მუშაობა მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ. ოქტომბრის პირველიდან წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში მეცადინეობა დაიწყო, მაგრამ არა გვაქვს სასწავლო ნივთები და სახელმძღვანელოები. აგერ თვე სრულდება, და თელავის რაიონში რვეულებს ვერ იშოვნით.

განსახკომის მოზრდილთა განათლების სამმართველო 40 ათასი რვეულისა და ლიტერატურის მოცემას შეგვპირდა. შეპირების ვადა დიდი ხანია გავიდა, და არც რვეული, არც წიგნები თვალითაც არ გვინახავს. მოსწავლეებს ვეუბნებით: წიგნის ბეჭდვა რთული საქმეა და იმიტომ იგვიანებსო. ამაზე მოსწავლეები მოსწრებულად გვეუბნებიან: წიგნს თუ დაბეჭდვა და გასწორება სჭირდება, რვეულს და ფანქარს რაღა დიდი საქმე უნდაო.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში ხელს გვიშლის ისეთი საგნების უქონლობაც, როგორიც არის ნავთი, ლამპები და სხვ. ყველაფერი ეს განსახკომის მოზრდილთა განათლების სამმართველოს მუშაკებს და ცეკავშირს, სჩანს, არ აწუხებს, ჩვენი მუშაობა კი ფერხდება.

ვ. კონსტანტინიდი

(ფედერაცია [illegible] ხელი თბილისის ტრამვაის სახელოსნოების საუკეთესო სტახანოველ ამხ. გიორგი მიხეილის-ძე ვახტანგიშვილს (თანამგზავრი). იგი წამოყენებულ იქნა თბილისის — სტალინის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად.
სურათზე: ამხ. ვახტანგიშვილი (ცენტრში) ესაუბრება ამხანაგებს ახალი საარჩევნო კანონის შესახებ.
ფოტო ბუდეშსტკისა „სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

სანდრო ეული

ჭალადიდელი

I

მომაგონდება ძველი დროიდან
ერთი ამბავი შხამივით მწარე, —
დედა ტიროდა, გულს სევდას მგვრიდა
და მეც ვტიროდი, ცრემლს ვღვრიდი ცხარეს.
ეს იყო მაშინ, როცა ლოგინში
სნეული მამა ებრძოდა სიკვდილს,
ხშირად მსმენია სიტყვა ოდიში,
იხსენიებდა ძილში ჭალადიდს.
ვიღაც ჭედიას გვარი ახსენა,
(მისას წოლილა საწყალი მამა)
„მიწველე რამე, ჩემო არსენა,
შენი ნუგეში, ძმაო, მეამა.
მაჩვენე ჩემი ქოხი და კერა,
მანახეთ ჩემი ცოლი და შვილი,
თურმე ბურანში კარს დაეძგერა,
თურმე ყვიროდა, როგორც შეშლილი.
მეგრელი გლეხები თვის მოძმე გურულს
გაჭირვების დროს დახმარებია,
ნიკოითის მთას და ტყეს დაბურულს
მგზავრების ხილვა გახარებია.
ამ დროს მამაჩემს გზაში სიკვდილი
უცდიდა როგორც ქირისუფალი.
შემოასვენეს ეზოში დილით,
შემოიყვანეს თანაც დურგალი, —
ხელში ეჭირა იმ დურგალს ხერხი
და კუბო დადგა ცოტა ხნის შემდეგ.
ვტიროდით, — თავზე დაგვატყდა მეხი,
იმ დღის სურათი წინ მიდგას დღემდე.

2

პაწაწკინტელა გურული ბიჭი
სიღარიბეში აღზრდილი სოფლად,
ბედს ვემდუროდი — ასე რათ გვიჭირს?
რატომ ვიზრდებით ტანჯვაში ობლად?
ლამის დაგვენგრეს თავზე ეს ქოხი,
გვერდით რომ უდგას მეზობლის ოდას.
მევალემ დედის ნამზითვი ნოხი
წაგვართვა, გულქვამ არ შეგვიცოდა.
დედა ჭადს გვიცხობს ნახეხი ფქვილით.
ამდენ სესხს ნეტა ვინ გადაიხდის?
შიშველი ფეხით როდემდის ვივლი
და ტანზე ძონძებს როდის გავიხდი?

3

ასეთ ყოფაში მემკვიდრე გავხდი
ღარიბ ოჯახის მე ბავშვი ჩვილი,
თუ შავბედს კაცად არ გამოვყავდი
არც მე ვყოფილვარ მისი მორჩილი.

4

მივიდა სიყრმე — დავვაჟკაცდები,
ვიგრძენი ჩემში სიმწიფის ძალა,
ბრძოლის ხალისმა და გატაცებამ
უიმედობა გამომაცალა.
გავყევ მამის გზას, გავშორდი სახლ-კარს,
მივენდე ქალაქს ჭაობებიანს;
დღეს რომ გარშემო ბაღნარი აკრავს,
საცა შრომაში ჭარბად ებმიან.
იმ ქალაქს ნოყო ღრჩობდა მაშინ
იმ ქალაქს სახე ყვითელი ჰქონდა,
შეხორცებოდა ცხელება ტანში.
როგორც სანთელი, იწვოდა, თრთოდა.
იქ გემებიდან ვზიდავდი ყუთებს,
მქონდა ძაღლური სიცოცხლე — ყოფა,
ვიგონებ დღეებს, ვიგონებ წუთებს,
როცა პირველად იჭექა თოფმა.
დაეცა მეფის ჯალათი მკვდარი,
ქარიშხლად იქცა მშრომელთა რისხვა.
ცა მოიწმინდა, დაგვიდგა დარი,
ძველი სამყაროს ფუძე დაიმსხვრა.

5

მოთავემ მითხრა: ახლავე წადი,
ჭალადიდელებს უნდა ახარო,
არ მოაკლდებათ პური და ჭადი,
სხვებისთვის ოფლი აღარ დაღვარონ.
ოქტომბრის დღეებს იცნობდნენ ფართოდ,
მჩიურ ოცნებას შეასხან ფრთები,
ყველას გულები უნდა აანთო,
ყველას ჩაედგას სიმტკიცე მთების!

6

შეგროვილიყო ხალხი დილიდან.
იყო ჩოჩქოლი, იყო დაობა.
— ჩვენ ვიტანჯებით გაჩენის დღიდან,
— ნუ თუ გვიშველის ახალთაობა?
მიველ და კრებას მივეც სალამი,
შეხვედრა იყო უსიტყვო, ცივი,
ერთ ვაჟს ეკავა ხელში ალამი,
ერთ ქალს უჩანდა დამწვარი წვივი.
ჩამომჯდარიყო ჯირკვებზე ზოგი,
ზოგს ამთქნარებდა, სიზანტე მქონდათ,—
გამოატარეს მწყემსებმა ჯოგი.
შავი ზღვისაკენ მზე ჩადიოდა...
ამ დროს წამოდგა კაცი ჭაღარა
გახსნა მიტინგი და მომცა სიტყვა,
ჩემი ნათქვამი ტაშმა დაფარა,
კრებაზე მაშინ ბევრი რამ ითქვა.
ამბობდნენ: — ჩვენში ოჯახს ვერ ნახავ,
— რომ ავადმყოფი ვინმე არ ჰყავდეს!
— ციებ-ცხელებამ ჩვენ დაგვაგლახა,
აბა რას ამბობთ? როგორ აუვავდეს —
როგორ ამოშრეს ჭალადიდიო?
— არა, სასწაულს ჩვენ აქ არ ველით!
არ გაიდება ზღვაზე ხიდიო, —
არც ამოშრება ჭალადიდიო".
მაშინ ჭედიას ხმამ დაიქუხა:
— არა გრცხვენიათ? სად გაქვთ გაგება?
— დედ-მამა ადრე მომიკლა ჭლექმა,
ბაბუა ჩემი ფეხზე ვერ დგება,
მაგრამ იმედი არ დამკარგვია, —
მეც ხომ თქვენთან ვარ ამ მძიმე დღეში?
წინ ვერაფერი ვერ აღგვიდგება,
როცა ერთმანეთს ვუდგევართ მხრებში".
შვილები მივცეთ ახალთაობას,
და გავხდეთ მისი ერთგული ყველა, —
მოვსპოთ ჩვენს შორის ფუჭი დაობა,
მოვსპოთ მტრობა რომ გვქონია ძველად.
შეირხა ხალხი, წამოიწია ფეხზე,
[illegible]
[illegible]
ბებრები იდგნენ სახლის პარმაღში.
როცა ჭედიამ კრება დახურა,
მანვე დაიწყო ხელად სიმღერა,
ღამემ სიბნელე გადმოგვახურა
შორს გაისმოდა ტკბილი ხმათა ჟღერა.

7

ჭედიამ ფაცხის გაალო კარი,
შემოგვეგება ფეხმძიმე ქალი, —
— ხომ ხედავ, კესა, მომყავს სტუმარი?
დაუპაჭუნა ცოლს ცალი თვალი.
გამაცნო, მითხრა: ფეხმძიმე მყავს. —
ცოლს გაეხუმრა,—ბიჭი თუ არ გყავს,
ჩემგან ნუ ელი,—ჩითის კაბასო.
გოგო რომ მომცე, მოვიკლავ თავსო.
ჭედიას ცოლმა სუფრა გააწყო
და მოიტანა ჭადი და ყველი,
ოთხად დატეხა, თეფშზე დააწყო,
დაგვაბანინა თბილი წყლით ხელი.
ტკბილ საუბარში გვქონდა ვახშამი,
— მე, ჯიმა, რაა ჩვენი სოფელი?
აქ ჰაერიც კი სავსეა შხამით,
აქ, ამ ფაცხაში, მომიკლავს გველი.
კოლხიდის ჭაობს რა ძალა დასძლევს,—
დაფარულს ხავსით, ჰილით, ლაქაშით, —
კაცი კი არა, ძაღლი ვერ გასძლებს,
აქ საქონელი გვეხრჩობა ლაფში.
ჭედიამ კიდევ ბევრი რამ მითხრა,
თუ რა ტანჯვები გამოუვლია, —
შემდეგ თვალებში ჩამხედა, მკითხა:
— ნეტა სტუმარი თუ გურულია?
მან გაიღიმა, დალია წყალი
და კვლავ განაგრძო: — ერთ კაცს ვიცნობდი,
გურული გლეხი იყო საწყალი, —
მეც მისი ტანჯვის ცეცხლში ვიწვოდი.
ისევ შემხედა და მომყვა ამბავს, —
— როგორ გაეცნო ტყეს მჭრელ მამაჩემს.
როგორ ხულიდა სახლში მომაკვდავს,
რომელიც კვნესით სწყევლიდა გამჩენს.
და ის კაციო,—მითხრა ჭედიამ, —
სულ შენ გგავდაო, როგორც წყლის წვეთი.
თურმე სხვა არის ჩვენი ბედია, —
თურმე ტყუილი ყოფილა ღმერთი.

II

იმ დღიდან განვლილ გმირული წლებით
ჩვენი ეპოქა დაფარულია, —
ახალი ქვეყნის შემოქმედება
სიამით სავსე ხალხის გულია
ჩვენი ვარსკვლავი შუქს გვფენდა გზაში,
მტერი გვებრძოდა ძველ სამყაროდან,
დადგა სიამე ბარად და მთაში,
შრომის ზეიმით გული ხარობდა.
დრომ შეუცვალა ცხოვრებას ფერი
და მზე თანაბრად ჩვენში ანთებს.
რადგან აქა ვართ ჩვენ ბედნიერი,
შრომა აქ უხვად იბერტყავს კალთებს.
გმირულ საქმეთა შორის მრავალი
საუკუნეთა ოცნება არის,
ზოგი სამშობლოს ჩინია თვალის
და ზოგი გზაში წინსვლის ლამპარი.
აი, ჩვენს თვალწინ ერთი მათ შორის —
გადაშლილია წალკოტად მხარე,
აქ წინათ ჭაოს შხამავდა შმორი,
ხალხი ცხოვრობდა ტანჯვით მწუხარე.
დღეს აქ მშრალია კოლხიდის გული
და ყორღანებში წინაპართ ძვლები,
არქეოლოგის მიერ ნახული,
ძეგლია მრავალ ასეულ წლების.

2

ქვის სვეტებზე დგას ჭედიას ოდა,
პატარა ეზოს ამშვენებს ბაღი,
ოდის წინკარდზე კაცი გადმოდგა,
სახეზე აჩნდა სიბერის დაღი.
მითხრა: ჩავიდეთ, გიჩვენებ ბაღსო,
მანდარინა მაქვს ათასი ძირი,
ჩემი ლიმონი წრეულს ისხამსო,
და ფორთოხალსაც უჩანსო პირი.
ბაღში შემოგვხვდა ჭედიას ვაჟი, —
ლენინოსია მისი სახელი, —
მზისგან მის სახეს ფერი აქვს კაჟის,
პირველად ვიყავ მისი მნახველი.
ჩემი ვაჟია, მქვია ლენინოს,
აგრონომია ამ ჩვენს სოფელში,
კაცი არ არის, რომ ის აგინოს,
ოც წელს ათავებს ოქტომბრის თვეში,—
მითხრა ჭედიამ და გაიღიმა, —
— შენ რომ პირველად იყავ ჩვენსაო,
მაშინ ეს ბიჭი არ მყავდა, ჯიმა,
მაშინ ფეხმძიმედ მყავდა კესაო,
დიდხანს ვიჯექით კაკლის ქვეშ ჩრდილში.
მან სთქვა: ყველაფერს თურმე ხედავსო,—
რა იქნებოდა დღეს ჭალადიდში,
რომ არ ეზრუნა ჩვენზე ბელადსო.
ამდენი ტანჯვა გამოვიარეთ,
ბედნიერ დღეებს მოვესწარითო,
რას გვიზამს მტერი შიგნით თუ გარეთ.
მტერი მოსისხლე, გარეწარიო.
ამ დროს გაისმა სიმღერა ქალის, —
კესა ჩონგურზე ტკბილად ამღერებს,
მას სიხარულით ევსება თვალი
და ნეტარებით სიმებს აჟღერებს:
ბადრი მთვარე ამოვიდა,
ნიშანია დარისა,
კოლექტივი გაძლიერდა,
ვენაცვალე სტალინსა!
არსენს თვალებს ცვიოდა ცეცხლი
და მზე კოცნიდა ნარინჯის ველებს
მოსჩანდა ტბაზე დაღვრილი ვერცხლი,
თვალს ვაყოლებდით რკინის არწივებს.

შალვა დადიანი

ქართული საბჭოთა დრამატურგია

დრამატურგია საქართველოს მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი მხატვრული ლიტერატურის ყველაზე ახალი დარგია.

ეს თარიღი იწყება 1850 წლიდან, როდესაც საჯაროდ, სცენაზე, დაიდგა ქართული დრამატურგიის პატრიარქის, ცნობილი ლიტერატორის, პოეტისა და კომედიოგრაფის გიორგი ერისთავის პირველი ქართული პიესა „გაყრა". ქართული დრამატურგიის სათავედ უნდა მივიჩნიოთ ზემოხსენებული თარიღი, რადგან გიორგი ერისთავს მოჰყვა მთელი წყება ქართველი დრამატურგებისა.

როგორც ცნობილია, ქართული ლიტერატურის თვით დიდმა კოლოსებმა, ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმაც, მოიხადეს თავიანთი ვალი დრამატურგიის წინაშე. ხოლო 80-იან წლებში გაიელვა ავქსენტი ცაგარლის ბრწყინვალე ნიჭმა, რომელმაც სამართლიანად დაიმსახურა ღირსეული დრამატურგის სახელი. მისი ზოგიერთი პიესა დღესაც ფერ-გამოუხუნებელია და მათ დადგმებს ხალხი დღესაც ხალისით ესწრება.

900-იან წლებში გამოჩნდნენ მთელი რიგი ნიჭიერი დრამატურგები: აზიანი, გედევანიშვილი, შიუკაშვილი და სხვ. რომელნიც თავიანთი ორიგინალური ნაწარმოებებით ამდიდრებენ ქართულ რეპერტუარს. მათ შემდეგ ჩნდებიან შალიკაშვილი, ნაკაშიძე, შანშიაშვილი, კაკაბაძე და ამ სტრიქონების დამწერიც.

მიუხედავად ამ გარემოებისა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს ქართული დრამატურგია მოუმზადებელი აღმოჩნდა და დროულად ვერ გასცა პასუხი მოწლავებულ, აქტუალურ საკითხებს.

მენშევიკების ბატონობის დროს ქართულ დრამატურგიაში დიდი შემოლამება იყო. ამ ხანას არ მიუცია არცერთი ბრწყინვალე ნაწარმოები, არცერთი თვალსაჩინო პიესა. თეატრების რეპერტუარი დატვირთული იყო ყალბპათოსიანი ფსევდოპატრიოტული პიესებით.

სოციალურ მოტივებზე აგებული ორიოდე პიესა (გედევანიშვილი, რამიშვილი, დადიანი) საქმეს ვერა შველოდა და პირველ ხანებში ქართული საბჭოთა თეატრიც იძულებული იყო ვერჰარნისა, ტოლლერისა და სხვათა ნათარგმნი პიესებით დაკმაყოფილებულიყო.

მხოლოდ 1924 წლიდან დაჰბერა ახალმა სიომ ჩვენს დრამატურგიაში და აქ პირველობა უნდა მიეკუთვნოს ნატალია აზიანს. მისი პოლიტიკური ბუფონადა „დეზერტირკა", რასაკვირველია, არ წარმოადგენდა სრულყოფილ დრამატურგიულ ნაწარმოებს, მაგრამ ეს მაინც იყო ახალი თემატიკისაკენ შემობრუნება. მისთვის ჩვეული ენის სიმახვილითა და სხარტული სცენებით, აზიანმა ამ პიესაში მოგვცა იმდროინდელი თბილისის მოქალაქეთა ცოცხალი გალერია.

აქტუალურ თემებთან ნამდვილი მისვლა მოახერხეს ახალგაზრდა პროლეტარულმა პოეტებმა კარლო კალაძემ. პეტრე სამსონიძემ და ორდენოსანმა ალიო მაშაშვილმა. ისინი უნდა ჩაითვალონ პირველ მერცხლებად ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში.

ალიო მაშაშვილი თავის პიესა „განგაშში" შეეხო კულაკთა მავნებლობის მხილებას, რაც ამ დროს მეტად აქტუალურ თემას წარმოადგენდა; პეტრე სამსონიძემ აგვიწერა ახლად შემდგარი კოლმეურნეობა, მისი პირველი ნაბიჯები და მოგვცა თბილი გრძნობით დახატული ქართველი კომკავშირელის სახე, თან სიუჟეტურად ისე მოხდენილად შეაზავა ნაწარმოები, რომ პიესა „სალტე" დღესაც პოპულარულ პიესად ითვლება ქართულ რეპერტუარში.

კარლო კალაძემ კი თავის პიესა „როგორ"-ში ნიჭიერად ასახა 1905 წ. რევოლუციის ეპიზოდები და ეს პიესაც მთელი ათი წლის მანძილზე არ მოხსნილა ქართული თეატრის სცენებიდან.

ქ. კალაძე არ შეჩერებულა მარტო ამ პიესაზე. მან დასწერა პიესები: „ხატიჯე" — აჭარელი გლეხობის ცხოვრებიდან და კომედია „სახლი მტკვრის პირას" — ქართველი ინტელიგენციის შესახებ. მაგრამ ამ პიესებს არ ჰქონიათ ისეთი წარმატება, როგორიც ხვდა წილად მის პირველ ნაწარმოებს „როგორ"-ს. პიესა „ხატიჯე" ვერ იძლეოდა ნამდვილ რეალურ სურათს აჭარის ყოფა-ცხოვრებისას, ავტორს მასალა ღრმად არ ქონდა შესწავლილი და განცდილი, კომედია „სახლი მტკვრის პირას" კი იმით იყო სუსტი, რომ მასში მთელი ქართველი ინტელიგენცია ერთბაშად იყო გაბიაბურებული.

ამავე ხანებში დრამატურგმა პოლიკარპე კაკაბაძემ დასწერა კომედია „ყვარყვარე თუთაბერი", რომელიც პირველად დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში, შემდეგ კი საქართველოს ყველა თეატრში. ამ პიესამ მოიპოვა საკმაო პოპულარობა. ავტორმა მოხერხებულად გამოიყენა ქართული ზღაპრების ცნობილი ნიღაბი ნაცარქექიასი, მოუახლოვა იგი ჩვენს დროს და დაგვანახვა ამ ნიღაბის საოცარი ზნეობრივი სივაგლახე, მცონარება, ტრაბახი და ბაქი-ბუქობა. პიესა დაწერილია მაღალი კომედიური სტილით, მახვილი ფრაზეოლოგიითა და სხარტი დიალოგით, რაც იპყრობს მაყურებელს და ხიბლავს თავისი ოსტატობით. ნაკლად ჩაეთვლება ამ პიესას ის, რომ მეტი ყურადღება აქვს მიქცეული სიტყვიერ მასალას, ჭახრაკულ თქმებს და სხვ.

ამჟამად პ. კაკაბაძეს დაწერილი აქვს ორი ახალი პიესა: „ახალი კოლხიდა" და „ცხოვრება სამურია". ორივე პიესა მიღებულია ჩვენს დიდ თეატრებში.

საბჭოთა ხელისუფლების დროსვე დრამატურგიულ სარბიელზე გამოვიდნენ გერცელ ბაზოვი, ვიქტორ გაბესკირია, იონა ვაკელი, სერგო კლდიაშვილი, გიორგი მდივანი, სიმონ მთვარაძე. მათ თავიანთი პიესებით სამართლიანად დაიმსახურეს პრესისა და საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება.

გერცელ ბაზოვის პირველი პიესა: „მუნჯები ალაპარაკდნენ"—შეეხებოდა ებრაელთა ცხოვრებას. პიესამ საუკეთესო შეფასება მიიღო საზოგადოებისა და კრიტიკისაგან, რადგან ეს იყო ახალი ამბავი ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში.

ამას მოჰყვა ამავე ავტორის პიესები: „განურჩევლად პიროვნებისა", „ჭინჭარი" და „იცკა რიჟინაშვილი".

„იცკა რიჟინაშვილი" ეხება პირველ რევოლუციონერ ქართველ ებრაელის ცხოვრებას და იშლება 1905 წლის ფონზე. პიესაში მოხდენილად მოცემული სურათები ღარიბ-ღატაკთა პირველი გამოღვიძებისა და მათი შეტაკებისა ცარიზმთან.

პიესა „ჭინჭარიც", რომელიც ქართულმა მოზარდ მაყურებელთა თეატრმა დადგა, აგვიწერს ებრაელი მოწაფეების ცხოვრებას, თუ როგორ ამახინჯებდნენ უვიცი მასწავლებლები და შოვინისტები ნიჭიერ ახალგაზრდობას წარსულში. აქაც დამაჯერებელი რეალიზმი, საგნის ზედმიწევნით ცოდნა თავდები იყო ავტორის გამარჯვებისა.

მაგრამ ასეთი ველარ იყო პიესა „განურჩევლად პიროვნებისა", რომელიც ასწერდა ზოგიერთი დაწინაურებული პარტიულის ჩაძირვას მეშჩანური ყოფაცხოვრების ჭაობში. ამ პიესაში ცოცხალ ამბებს სჭარბობდა სქემატიზმი. ამ პიესის შემდეგ რომ ავტორი გაიზარდა და თანდათან დაეუფლა დრამატურგიულ ხელოვნებას, ამის დამამტკიცებელი იყო „ჭინჭარი" და „იცკა რიჟინაშვილი".

ბაზოვმა ოქტომბრის დღესასწაულისათვის უკვე დაამზადა ახალი პიესა „შავი ზღვის სანაპიროებზე".

სერგო კლდიაშვილი არის ტრადიციითა და მემკვიდრეობით მწერალი. მამა-მისი ცნობილი ქართველი კლასიკოსი იყო. თვითონაც პროზაიკოს-ბელეტრისტია. დრამატურგიაში ეს ორი წელიწადია რაც შემოდგა ფეხი. დაიწყო მამის მოტივებით და „შემოდგომის აზნაურებს" ხალისიანი კომედიით შვილმაც აუგო ანდერძი. ახალი პიესით „გმირთა თაობით" კი მან შეგვქმნა ერთი მაღალხარისხოვანი დრამატურგიულად ფართოდ გაშლილი ნაწარმოები, რომელშიც ჩააქსოვა უმძაფრესად აქტუალური თემა დივერსანტებსა და ნიღაბაფარებულ მავნებლებზე. პიესა იშლება კოლხიდმშენის სამუშაოებზე და მკვეთრ, რეალურ სცენებში ვხედავთ ახალ, თავდადებულ ადამიანებს საზიზღარ გამცემელთა და მავნებელთა გარემოცვაში, რომელთაც ღირსეულად უსწორდება პარტია და ხელისუფლება.

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს დრამატურგიაში გამოვიდა გიორგი მდივანი, მაგრამ უკვე მოიპოვა პოპულარული დრამატურგის სახელი. ის ჯერჯერობით სამი პიესის ავტორია. ეს პიესებია: „ალკაზარი", „ბრმა" და „სამშობლო". „ალკაზარი" მოგვითხრობს ესპანელი ხალხის დღევანდელ გმირულ ბრძოლას თავისუფლებისათვის. „სამშობლო" ეხება ჩვენი თავდაცვის საქმეს.

ყველა ეს პიესები სიუჟეტურად მეტად მახვილად არის გამართული და გამძაფრებულ მდგომარეობას დიდის გულისყურით ადევნებს თვალს მაყურებელი. განსაკუთრებით დიდი აღფრთოვანებით შეხვდა საზოგადოება და კრიტიკა „ალკაზარს", რადგან აქ მკვეთრად არის მოცემული ის გმირული პათოსი და ბრძოლის ცეცხლი, რომელიც ახასიათებს ესპანელი ხალხის დღევანდელ გოლიათურ სულისკვეთებას.

პიესა თითქოს ცალკეული სურათებისაგან შესდგება, მასში ზოგან არის იაფფასიანი მელოდრამატიული ადგილებიც, არც სიტყვიერი მასალაა ტრაგედიის სიმაღლემდე ასული, მაგრამ საერთოდ ნაწარმოები ამტკიცებს ავტორის ნიჭის სიცხოველეს.

სიმონ მთვარაძემ თავისი პირველი დრამატურგიული ნაწარმოებები მოზარდ მაყურებელთა თეატრს მიუძღვნა. ასეთი სპეციფიკით არის დაწერილი მისი პიესები: „შირაქის გულში", „აურიე რგოლი", „პირველი გმირი" და სხვ. მაგრამ დიდი ტილო მან მოიტანა „სურამის ციხის" სახით. ამ პიესის სიუჟეტი თუმცა ნასესხებია, მაგრამ ავტორმა იგი დაამუშავა თავისებურად და მოგვცა ცდა ნამდვილი ქართული ტრაგედიის შექმნისა. ამჟამად ს. მთვარაძეს დასრულებული აქვს სამი პიესა.

ქართულ დრამატურგიაში თვალსაჩინო ადგილი უკავია იონა ვაკელს. რამდენიმე წელიწადია, რაც მან დრამატურგიაში სცადა თავისი ნიჭი, და არც თუ უნაყოფოდ. თავის დროზე მისმა პირველმა პიესამ „აპრაკუნე ჭიმჭიმელმა", მიუხედავად ნაკლოვანებებისა, მაინც დადებითი როლი ითამაშა. მეორე პიესა უკვე ტრაგედიული ჟანრით იყო მოცემული და გვიხატავდა უკვდავ სახეს თავისუფლებისათვის მებრძოლ მთიელ შამილისას. აქ იყო ბევრი კარგი ადგილი, ისტორიულადაც სწორი და დრამატურგიულადაც გამართლებული, მაგრამ პიესამ საზოგადოებასა და პრესაში მაინც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

მოხდენილად არის გამართული მისი ახალი პიესა „შური" (მიმდინარე წლის სეზონში სდგამენ მარჯანიშვილის და აჭარის თეატრები). პიესის თემა აღებულია სუბტროპიკულ მცენარეთა საცდელი სადგურის ყოფიდან.

ახალგაზრდებიდან უნდა აღინიშნოს შემდეგი ავტორები: გორდაძე— „შხამიანი გველები", გაბუნია—„არსენა ოძელაშვილი", დარისპანაშვილი — „შავ კლდეთა შორის", კაჭკაჭიშვილი — „ადელანტე", ნახუცრიშვილი და გამრეკელი — „ნაცარქექია", გოგიაშვილი — „მეწყერი" და ვ. გაბესკირია—„ყორთას".

დრამატურგი გ. ბუჩნიკაშვილი ამჟამად მუშაობს პიესაზე სამოქალაქო ომის გმირის კიკვიძის ცხოვრებიდან; დამთავრებული აქვთ პიესები ვ. ევნატაშვილს — „მოთეთრო ყორანი", რ. ქორქიას—„ოქროს გული", ს. ერთაწმინდელს— „ჯორჯიაშვილი" და „რენადა".

საქართველოში არსებობს აგრეთვე 30 მოძრავი თეატრი მუსიკალური კომედიისა, რომლისთვისაც მცირე ფორმის პიესებს სწერენ ს. ფაშალიშვილი, რ. ქორქია, ა. ბელიაშვილი და სხვ. ასე რომ ამ მხრივაც ქართული დრამატურგია იზრდება და ვითარდება.

განგებ ბოლოსათვის მოვიტოვე პოეტი და დრამატურგი სანდრო შანშიაშვილი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სანდრო შანშიაშვილი ცნობილი იყო საქართველოში არა როგორც მხოლოდ პოეტი, არამედ როგორც დრამატურგიც. მისი პიესები იდგმებოდა სცენებზე და მუდამ იწვევდა დიდ გამოხმაურებას. წარსულში ის იყო ცალმხრივი პატრიოტიკისა („უგვირგვინო მეფენი", „ცისანა") და ევროპული ბურჟუაზიული მისტიკის („ბერდო ზმანია" და სხვ.) ტყვეობაში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებში მისი პიესები იდგმებოდა რუსთაველის თეატრში, მაგრამ პირველი ნაბიჯი ახალი თემატიკისაკენ მან გადადგა „ანზორით", რომელიც უსაყვარლეს პიესად იქცა საქართველოში. მას მოჰყვა „სამნი" და უკანასკნელად „არსენა", რომელმაც მთელ კავშირში მოიპოვა დიდი მოწონება. ამჟამად მას დამზადებული აქვს ახალი პიესა „ფოლადაური".

ორიოდე სიტყვა ჩემზედაც.

წარსულის საგზალი მეც მომდევს ბოლომდე: „მღვიმეში", „შენი ჭირიმე", „გეგეჭკორი", „გუშინდელნი" და სხვ. ჩემი პიესებია, რომლებმაც ერთ დროს დაიმსახურეს საზოგადოების ყურადღება და ზოგი მათგანი დღესაც იდგმება სცენაზე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი ჩემს მიერ დაწერილია და თეატრებში დადგმული: „კაკალ გულში" (მარჯანიშვილის თეატრი), „თეთნულდი" (რუსთაველის თეატრი), „ნინოშვილის გურია", „ჩატეხილი ხიდი" (ორი უკანასკნელი პიესა აგებულია ჭავჭავაძისა და ნინოშვილის თხზულებებზე), და, დასასრულ, პიესა „ნაპერწკლიდან".

ქართული დრამატურგია მნიშვნელოვანი მიღწევებით ხვდება ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავს. 14 ახალი პიესა უკვე მზად არის და განაწილებულია რესპუბლიკანურ თეატრებს შორის. ჯერ [illegible] საქმე და მომავალშიც პარტიისა და ხელისუფლების დახმარებით, სწორ-უტყუარი გზით, ცხადია, კიდევ უფრო ავამაღლებთ ქართულ საბჭოთა დრამატურგიას, ამისათვის გვყავს ახალგაზრდობა, გვყავს ძალები.

◆

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავზე—1937 წლის 7 ნოემბერს ქ. თბილისში მშრომელთა დემონსტრაციის ჩატარების წესრიგი

განისაზღვროს 1937 წლის 7 ნოემბერს მშრომელთა დემონსტრაციის შემდეგი წესრიგი:

1. ლენინის სახელობის რაიონის კოლონა—ა. ქ. რკინიგზის მუშებთან და მოსამსახურეებთან ერთად იკრიბება ვაგზლის მოედანზე, მიდის ჩელუსკინელთა ქუჩით, ჩელუსკინელთა ხიდით, ლენინის ქუჩით, რუსთაველის პროსპექტით და დგება მოწინავე ნაწილით რუსთაველის თეატრის შენობასთან დილის 10 საათისათვის.

2. სტალინის სახელობის რაიონის კოლონა — იკრიბება პლეხანოვის პროსპექტზე რაიკომის შენობასთან, მიდის ჩელუსკინელთა ქუჩისაკენ, გამოდის ლენინის ქუჩაზე და მოწინავე ნაწილით დგება ლენინის სახელობის რაიონის უკან დილის 10 საათისათვის.

3. კიროვის სახელობის რაიონის კოლონა — იკრიბება ახალ სანაპირო ქუჩაზე, ელბაქიძისა და კარლ მარქსის ხიდებს შუა, მიდის ელბაქიძის აღმართით და დილის 10 საათისათვის მოწინავე ნაწილით დგება ლენინის ქუჩის გამოსასვლელთან (ელბაქიძის მოედანი).

4. 26 კომ. სახელობის რაიონის კოლონა იკრიბება შაუმიანის მოედანზე, მიდის კალიაევის დაღმართით, კალიაევის ხიდით, ახალი სანაპირო ქუჩით და დილის 10 საათისათვის მოწინავე ნაწილით დგება კიროვის სახელობის რაიონს უკან.

5. ორჯონიკიძის სახელობის რაიონის კოლონა—იკრიბება სახ. უნივერსიტეტის შენობასთან, მიდის მელიქიშვილისა და ლენინის ქუჩებით და დილის 10 საათისათვის მოწინავე ნაწილით დგება მელიქიშვილისა და ლენინის ქუჩების განშტოებასთან. სტალინის სახელობის რაიონის გავლის შემდეგ წაიწევს წინ და დგება ელბაქიძის მოედანთან, ხოლო კიროვისა და 26 კომ. სახელობის რაიონების გავლის შემდეგ მიჰყვება 26 კომისრის სახელობის რაიონს დემონსტრაციის მსვლელობის გზით.

6. მშრომელთა ყველა კოლონაეწყობა ოც-ოც კაციან რიგებად.

7. ფიზკულტურელთა ნაკრები კოლონა ეწყობა ძერჟინსკის ქუჩაზე, დგება მოწინავე ნაწილით კიროვის ქუჩის გამოსასვლელთან დილის 8 საათისათვის და მიჰყვება სამხედრო ნაწილებს.

ფიზკულტურელთა კოლონების გავლის შემდეგ ა. ქ. ფედერაციის მოედანზე იმართება ფიზკულტურელთა ორი გამოსვლა, 20 წუთის საერთო ხანგრძლივობით.

ფიზკულტურული კოლონის პასუხისმგებელ ხელმძღვანელად ინიშნება ამხ. ა. ჭელიძე.

8. სამხედრო ნაწილების პარადის დამთავრებისა და ფიზკულტურელთა ნაკრები კოლონის გავლის შემდეგ დილის სრული 11 საათიდან იწყება რაიონული კოლონების გავლა შემდეგი წესრიგით:

ა) ლენინის, სტალინისა და ორჯონიკიძის სახელობის რაიონების კოლონები კომინტერნის ქუჩით გაივლიან ტრიბუნასთან, გადასჭრიან ა. ქ. ფედერაციის მოედანს, ჩაუხვევენ პუშკინის ქუჩაზე და დაიშლებიან ახალ სანაპირო ქუჩაზე კ. მარქსის ხიდთან.

ბ) კიროვის და 26 კომ. სახელობის რაიონების კოლონები გაივლიან ტრიბუნასთან მიემართებიან სარეწაო კოოპერაციის ქუჩით და დაიშლებიან მაიდანზე.

9. სკოლების (უფროსი კლასების) მოსწავლენი და პიონერორგანიზაციები, ფიზკულტურელთა ნაკრებ გუნდში მონაწილეთა გარდა მონაწილეობას იღებენ საერთო დემონსტრაციაში, ამასთან პიონერორგანიზაციები ეწყობიან რაიონების მიხედვით რაიონული კოლონების წინ.

პიონერთა კოლონების ხელმძღვანელობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ალკკ თბილისის კომიტეტს და ალკკ რაიკომების მდივნებს.

10. დემონსტრანტთა კოლონების შეკრებისა, დაწყობისა და დასადგომ ადგილებზე დროულად მისვლის პასუხისმგებელი ხელმძღვანელნი არიან პარტიის სათანადო რაიონული კომიტეტების მდივნები და რაისაბჭოების თავმჯდომარეები.

11. პარადისა და მშრომელთა დემონსტრაციის დღეს რევოლუციური წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის უზრუნველყოფა ევალება საქართველოს სსრ შინსახკომის მუშ.-გლეხ. მილიციის სამმართველოს უფროსს ამხ. წერეთელს.

12. ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობა სწყდება 7 ნოემბერს დილის 8 საათიდან.

13. მუშურ-გლეხური წითელი არმიის თბილისის გარნიზონის სამხედრო ნაწილების პარადი ტარდება განსაკუთრებული გეგმის მიხედვით.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავის ჩამტარებელი კომისია.

საავადმყოფოების შეჯიბრების შედეგები

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა და მედსანშრომის მუშაკთა კავშირმა შეაჯამეს საქართველოს საავადმყოფოების შეჯიბრების შედეგები. გამოირკვა, რომ საავადმყოფოთა შეჯიბრება არ იყო სათანადოდ გაშლილი. საქართველოს 165 საავადმყოფოდან შეჯიბრებაში ჩაბმული იყო მხოლოდ 31.

შეჯიბრებაში ჩაბმულ საავადმყოფოთა მუშაობის შემოწმების შემდეგ პირველი ჯილდო 10 ათასი მანეთის რაოდენობით და გარდამავალი დროშა მიეკუთვნა ჯანსახკომის ვენერიულ სნეულებათა კვლევითი ინსტიტუტს (თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების ვენეროლოგიისა და დერმატოლოგიის საავადმყოფო—დირექტორი ექ. ვალ. იაშვილი), რომელმაც შეჯიბრების პროცესში შესძლო თავისი მუშაობის ძირითადად გარდაქმნა.

მეორე ჯილდო—8 ათასი მანეთი მიეცა ქალაქის მეორე საავადმყოფოს (დირექტორი პროფ. ა. ალადაშვილი), მესამე ჯილდო—7 ათასი მანეთი—ქუთაისის გინეკოლოგიურ საავადმყოფოს (დირექტორი ექ. გ. ლორთქიფანიძე), მეოთხე ჯილდო 5 ათასი მანეთი—ცხაკაიას რაიონის საავადმყოფოს (დირექტორი ექ. ი3. ჩხეტია).

ამას გარდა ჯანსახკომის სამკურნალო სამმართველომ ყველა დაჯილდოვებული საავადმყოფოსათვის გამოჰყო ფიზიოთერაპიული კაბინეტის სრული მოწყობილობა.

გამოყოფილი ფულადი ჯილდოების ნახევარს საავადმყოფოები გამოიყენებენ მოწინავე მუშაკთა დასაჯილდოვებლად, ხოლო დანარჩენს—სამკურნალო მომსახურების გასაუმჯობესებლად.



თბილისი — კარლ მარქსის სახელობის მოედანი (ყოფ. ვორონცოვის მოედანი). ფოტო დავიდოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

„ვეფხის-ტყაოსანი" რუსულ ენაზე

სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის ჟურნალში „კრასნაია ნოვ"-ში მთავრდება ბეჭდვა შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსნისა" გიორგი ცაგარლის თარგმანით და ვლ. ელსნერის რედაქციით. პოემა მოთავსებულია მთლიანად ცხრა ნომერში (იანვრიდან სექტემბრამდე).

გ. ცაგარლის თარგმანი გამოდის აგრეთვე ცალკე წიგნად, რომელსაც სცემს რსფსრ სახლიტგამომცემლობა ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავზე. თარგმანს დართული აქვს ა. სვანიძის წერილი: „შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა" და მთარგმნელის წინასიტყვაობა. წიგნის ტირაჟია 30.000 ცალი. წიგნში მოთავსებულია რუსთაველის პორტრეტი და თამარ აბაკელიას მიერ შესრულებული რვა ილუსტრაცია, რომელიც ოთხფერი ფერით იბეჭდება ცარცის ქაღალდზე.

წიგნი გაფორმებულია მხატვრულად. ყდა, სატიტულო გვერდი, ცალკე თავების დასაწყისისა და დაბოლოვების ნახატები შესრულებულია მხატვარ ვ. ავალიანის მიერ.

პოემის ძირითადი თავები გ. ცაგარლის თარგმანით, დაახლოვებით 3000 სტრიქონამდე, მოთავსდა აგრეთვე ალმანახში „სსრკ ხალხთა შემოქმედება".

„ოგონიოკი" სცემს ცალკე წიგნად „ვეფხის-ტყაოსნის" რჩეულ თავებს და რუსთაველის აფორიზმებს გ. ცაგარლის თარგმანით 50.000 ცალად. წიგნს დართული აქვს ვლ. ელსნერის წინასიტყვაობა.

საბავშვო ბაღების მშენებლობა

განსახკომის ცნობების მიხედვით საბავშვო ბაღების მშენებლობა საქართველოში 30 ოქტომბრისათვის ასეთ მდგომარეობაში იყო:

ბათუმის საბავშვო ბაღის შენობა მზად იყო 22,6 პროცენტით, სოხუმისა—2 პროცენტით, ქუთაისისა—2 პროცენტით, გორისა—29 პროცენტით, ფოთისა—48 პროცენტით.

თბილისის საბავშვო ბაღების შენობები მზად იყო: მიასნიკოვის ქუჩაზე—4 პროცენტით, გერმანელთა ქუჩაზე—4,5 პროცენტით, ბეგლეცკის ქუჩაზე—15 პროცენტით, სოხუმის ქუჩაზე—37,4 პროცენტით, ტრამვაის პარკისა—37,4 პროცენტით.

ხუდადოვის, პლეხანოვის და უფლისციხის ქუჩებზე მშენებლობა ჯერ არ დაუწყიათ.

მწერალთა კავშირში

5 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის, 13) შესდგება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

მოხსენებას თემაზე: „ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავი" — გააკეთებს ამხ. კანდიდ ჩარკვიანი.

სიტყვებით გამოვლენ: შალვა დადიანი, სანდრო ეული, ი. ლისაშვილი, ნ. ნაკაშიძე, ბ. ჟღენტი, შალვა რადიანი, ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი, სიმონ წვერავა.

საკუთარ ნაწარმოებებს წაიკითხავენ: ა. აბაშელი, ირ. აბაშიძე, კალე ბობოხიძე, ვალ. გაფრინდაშვილი, დავით გაჩეჩილაძე, რაჟდენ გვეტაძე, ალ. გომიაშვილი, სანდრო ეული, იონა ვაკელი, გიორგი კაჭახიძე, გ. ლეონიძე, კ. ლორთქიფანიძე, ალ. მაშაშვილი, ილ. მოსაშვილი, გალ. ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი, ს. შანშიაშვილი, დემნა შენგელაია, სიმონ ჩიქოვანი.

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

რადიოგადაცემა 6 ნოემბერს

დილის 10 ს. გადაცემა პიონერთა და მოსწავლეთათვის ქართულ ენაზე „ოქტომბერი პოეზიაში და პროზაში", 10 ს. 40 წ. — „უკანასკნელ ცნობათა" სპეციალური გამოშვება, მიძღვნილი ოქტომბრის რევოლუციის XX წლისთავისადმი. 10 ს. 50 წ. ამხანაგ სტალინის სტატია „რა გვჭირდება", 11 ს. 10 წ. — საბჭოთა მასობრივი სიმღერების კონცერტი, 11 ს. 35 წ. — ლიტ. გადაცემა ქართულ ენაზე — ლენინი და სტალინი სსრ კავშირის ხალხთა შემოქმედებაში". 12 ს. 5 წ. — გადაცემა დიასახლისთათვის ქართ. ენაზე „ოქტომბრის რევოლუციის 20 წელი", 13 ს. 25 წ. საუწყებო ინფორმაციები და განცხადებები, 12 ს. 30 წ. მასობრივი სიმღერების გაკვეთილი. 15 ს. 25 წ. — სცენის ოსტატების აბდუშელიძის, გამრეკელის და შარატა-დოლიძის გამოსვლები. 17 ს. 25 წ. — ლიტ. დრამატიული გადაცემა ქართ. ენაზე „დიდი ოქტომბერი", 18 ს. 5 წ. მოხსენება თემაზე: „საქართველოს მრეწველობა ოქტომბრის რევოლუციის XX წლისთავზე". 18 ს. 35 წ. — საუწყებო ინფორმაცია და განცხადებები, 18 ს. 45 წ. — სპეც. გამოშვება რუსულ ენაზე, 18 ს. 58 წ.— დროის შემოწმება, 19 ს. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისათვისადმი მიძღვნილი თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომის ტრანსლაცია.

შემთხვევები

— **სპეკულანტები.** მანუფაქტურით სისტემატური სპეკულაციისათვის მილიციის მე-8 განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ილიას ხანუმ-ოღლი (მცხოვრები არგუტინსკის შეს. № 6), ოსმ ერამ-ოღლი (არგუტინსკის შეს. № 4) და სიმხა მუსა-კეზი (არგუტინსკის შეს. № 15). ამ პირთ ბინების გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდათ 325 მეტრი ფართალი. სპეკულანტები მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ხელოვნება

„ნაპერწკლიდან"

ოქტომბრის დიადი სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავის აღსანიშნავად 5 და 6 ნოემბერს რუსთაველის თეატრში, ხოლო 6 და 7 ნოემბერს მარჯანიშვილის თეატრში მიდის შალვა დადიანის საიუბილეო პიესა „ნაპერწკლიდან".

პიესაში ასახულია პირველი ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩასახვა საქართველოში და ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელი როლი ამ საქმეში. პიესაში მომქმედ პირებად გამოყვანილი არიან ვ. ი. ლენინი და ახალგაზრდა სტალინი.

რუსთაველის თეატრში ვ. ლენინის როლს ასრულებს სსრკ სახალხო არტისტი აკ. ვასაძე, ხოლო მარჯანიშვილის თეატრში—მსახიობი შაქრო გომელაური. ახალგაზრდა სტალინს თამაშობენ რუსთაველის თეატრში მ. გელოვანი, ხოლო მარჯანიშვილის თეატრში —ვ. გოძიაშვილი.

რუსთაველის თეატრში „ნაპერწკლიდან" დადგმულია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის სსრკ სახალხო არტისტ აკ. ვასაძის მიერ მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ირ. გამრეკელს, მუსიკა—ახალგაზრდა კომპოზიტორ რ. გაბიჩვაძეს.

მარჯანიშვილის თეატრში პიესას დგამს რეჟისორი გიორგი ჟურული, მხატვრული გაფორმება პროფ. ვ სიდამონ - ერისთავისა, მუსიკა კომპ. კ. ანდრიაშვილისა.

○

„ლატავრა"

დღეს, 5 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავის აღსანიშნავად ოპერისა და ბალეტის თეატრში მიდის ზ. ფალიაშვილის ოპერა „ლატავრა" დადგმა რესპუბლიკის სახალხო არტისტ ალ. წუწუნავასი. მხატვარი — დ. ძნელაძე, დირიჟორი —შ. აზმაიფარაშვილი.

მთავარ პარტიებს ასრულებენ ორდენოსნები მერი ნაკაშიძე, ნ. ცომაია, ს. ინაშვილი, ნ. ქუმსიაშვილი, დ. გამრეკელი.

ცეკვები დადგმულია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დ. ჯავრიშვილის მიერ.

ბიბლიოგრაფია

ალ. ღლონტი—„გურული ფოლკლორი"

თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა 1937 წ.

ფოლკლორული მასალების დამუშავებასა და გამოცემას პარტია და ხელისუფლება დიდი ყურადღებით ეპყრობიან. სწარმოებს ხალხური ლექსების, ანდაზების, ზღაპრების და სხვა ნიმუშთა შეგროვება და გამოცემა.

ალ. ღლონტის „გურული ფოლკლორი" ამ მხრივ მეტად საინტერესოა. სარეცენზიო წიგნში ავტორი ცდილობს თავი მოუყაროს საქართველოს ერთერთი კუთხის გურიის — ფოლკლორულ მასალებს.

გურია ფოლკლორული მარგალიტებით ერთ-ერთი მდიდარი კუთხეა. იშვიათად ნახავთ გურულ გლეხს, რომელმაც ლექსი და სიმღერა არ იცოდეს.

ოქტომბრის დიადი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ძირითადად სხვაგვარი გახდა ხალხური შემოქმედების ხასიათი. სოციალიზმის გაცხოველებული მშენებლობის პროცესმა არსებითად შესცვალა ფოლკლორის თემატიკა. წავიდა ის დრო, როცა გურული გლეხი სევდიან ჰანგზე მღეროდა: „დღედაღამე ოფლში ვცურავ, არაფერი მაბადია, ჩემი საგებ-სახურავი დაგლეჯილი ნაბადია"-ო.

თანამედროვე ხალხურ ლექსებში მოცემულია სოციალიზმის მშენებლობის აქტუალური საკითხები გლეხი უკვე აღარ სჩივის გაჭირვებას. იგი საამურად ცხოვრობს. მას უყვარს კოლმეურნეობა, რომელმაც იგი ბედნიერი ცხოვრების გზაზე დააყენა, უყვარს დიადი სოციალისტური ქვეყნის გენიალური შემომქმედი დიდი **სტალინი** და უმღერის მას.

ხალხს უყვარს **სტალინის** თანამებრძოლი, მისი საუკეთესო მოწაფე, საქართველოს მშრომელთა საყვარელი ხელმძღვანელი **ლავრენტი ბერია.**

„გაუმარჯოს ჩვენ დიდ სტალინს
მტკიცე ფოლადიანსა.
და ჩვენ დიდ გმირ ვოროშილოვს
და წითელ არმიასა.

მსოფლიოში ჩვენ ძმებს, მუშებს,
მტკიცე კომპარტიასა,
სწორი ხაზის გამტარებელ
ლავრენტი ბერიასა".

ამ ლექსებს გურიაში ამღერებენ სხვა-[illegible]

უსათუოდ კარგად მოქცეულა ავტორი, რომ სოციალისტური სოფლის დამახასიათებელი ლექსები ცალკე განყოფილებად გამოუყვია გარდა ამისა, სარეცენზიო წიგნი შეიცავს შემდეგ შვიდ განყოფილებას 1. სატრფიალო · საყოფაცხოვრებო; 2. ფირალის ეპოსი; 3. ბატონ-ყმობის გადავარდნა; 4. 1905 წელი; 5. მსოფლიო ომი; 6. ნარევი და 7. ზღაპრები.

წიგნში შედარებით სრულად არის წარმოდგენილი მასალები ფირალის ეპოსის შესახებ. არ შეიძლება ასევე ითქვას სხვა განყოფილებაზეც. უთუოდ შეიძლებოდა და საჭიროც იყო მეტი მასალის მოცემა. მაგალითად, სოციალისტური სოფლის თემაზე, ათიოდე ლექსი შეუკრებია ავტორს; გურიაში კი მრავალ საყურადღებო ლექსებს მღერიან, რაც შეკრებისა და გამოცემის ღირსი იყო.

შეკრებილ მასალათა ენათმეცნიერული ღირებულების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ავტორს ძირითადად სწორად მოუცია გურული კილოს დამახასიათებელი ფორმალური თავისებურებანი და წინადადებათა აგება, მაგრამ ზოგჯერ დამახასიათებელი ფორმების ნაცვლად, მოცემულია ინდივიდუალური ფორმა სიტყვის ხმარებისა. მაგალითად, „მანდალინა" (მანდარინის ნაცვლად) და სხვ.

საჭირო იყო აგრეთვე ტექსტებში ავტორს მოეცა გურულის დამახასიათებელი სახელის ბოლოს ი-ნის (ძმა-ი, და-ი) ორი სახეობა: ერთი, როცა იგი სრული ხმოვანია (ძმაი, დაი, დღეი, ზღვაი...) და მეორე, როცა იგი არაა სრული ხმოვანი, თანხმოვნისაკენ გადახრათ—(მაგ. ბაღანაჲ, დედაჲ).

წიგნს წამძღვარებული აქვს ავტორის წინასიტყვაობა, დართული აქვს სრული და კარგად შედგენილი, ლექსიკონი და შენიშვნები.

წიგნი დაბეჭდილია საშუალო ხარისხის ქაღალდზე და ღირს 6 მანეთი, რაც საკმაოდ ძვირია.

ი. ცერცვაძე

ფეხბურთი

მოსკოვი—თბილისი

3 ნოემბერს თბილისის ლ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგა მოსკოვის „ლოკომოტივისა" და თბილისის „დინამოს" ამხანაგური მატჩი. მოსკოველები თავისი ძირითადი შემადგენლობით გამოვიდნენ, ხოლო თბილისმა სათადარიგო შემადგენლობა გამოიყვანა. „დინამოს" მხრიდან თამაშობდნენ: ა. ტყებუჩავა, ნიკოლაიშვილი, ჭუმბურიძე, ბ. ბერძენიშვილი, ფროლოვი, კიკნაძე, პანინი, ჯეჯელავა, ვ. ბერძენიშვილი, ასლამაზოვი, აფრიდონიძე. მეორე ტაიმის მეორე ნახევრიდან თამაშში ჩაება ბ. პაიჭაძე.

თამაში მოდუნებული ტემპით დაიწყო და უსიცოცხლოდ მიმდინარეობდა მთელი ტაიმის განმავლობაში. აწვებოდნენ უმთავრესად თბილისელები, მაგრამ საჯარიმო მოედანზე იბნეოდნენ და კარში რიგიანად ვერ ურტყამდნენ.

მეორე ტაიმში თამაშს გამოცოცხლება დაეტყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა მოსკოველმა პ. ტერენკოვმა ლამაზი კომბინაციის შედეგად პირველი ბურთი გაიტანა.

მე-20 წუთზე მ. ასლამაზოვმა შესანიშნავი კუთხური დარტყმით გააქვითა ანგარიში. აქედან თამაშმა ცხარე ხასიათი მიიღო. ორივე გუნდი ენერგიულად უტევდა და მეკარეებს ხშირად უხდებოდათ თამაშში ჩაბმა. განსაკუთრებით ბევრი შრომა დასჭირდა თბილისის „დინამოს" ახალგაზრდა მეკარეს ამირან ტყებუჩავას, რომელმაც გაბედული და კარგი თამაში გვიჩვენა.

გუნდების თავგამოდებულ ბრძოლას, ისევე, როგორც პირველ შეხვედრისას, შედეგი არ გამოუღია და შეჯიბრება დამთავრდა ყაიმით—ანგარიშით 1:1.

თამაშს სჯიდა თბილისელი ლარიონოვი. მის შესახებ მხოლოდ ის შეიძლება ვსთქვათ, რომ სასტვენი იმიტომ როდი აქვს მსაჯს, რომ დაუსრულებლივ უსტვინოს. ეს ანერვიულებს მოთამაშეებს და ჰკლავს ცოცხალ თამაშს.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტიული კონტროლის პარტკოლეგია საქართველოში სთხოვს დიმიტრი ანდრონიკის-ძე კაფაფოვს სამი დღის ვადაში გამოცხადდეს პარტკოლეგიაში ამხ. აგასაროვთან (ძერჟინსკის ქ. № 8, მეორე სართული, ოთახი № 30).

○

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტიული კონტროლის პარტკოლეგია საქართველოში სთხოვს კარაპეტ ტიგრანის-ძე ვართანიანს, მეთოდე ვასილის-ძე გორშენინს და ვარლამ ლუკას-ძე კვერნაძეს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში (ძერჟინსკის ქ. № 8).

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე
ა. იაკობაშვილი

ვ. პერელმანი

მხატვარი

საიუბილეო გამოფენა „სოციალიზმის ინდუსტრია"

ახლა, როდესაც მოახლოვებულია საბჭოთა ხელისუფლების 20 წლისთავისათვის მიძღვნილი უგრანდიოზულესი სამხატვრო საიუბილეო გამოფენის — „სოციალიზმის ინდუსტრიის" გახსნის საზეიმო და მომხიბლავი ჟამი, მაგონდება 1935 წლის გაზაფხულის ერთი წყნარი საღამო მძიმე მრეწველობის სახკომის კაბინეტში. მაგონდება მშვიდი ხმა მხატვრების ჯგუფთან მოსაუბრე სერგო ორჯონიკიძისა — მძიმე მრეწველობის არმიის შესანიშნავი სარდლისა, ადამიანის, რომელმაც მთელი თავისი მშვენიერი სიცოცხლე შესწირა დიდ პროლეტარულ რევოლუციას და რომელიც დაუფიქრდა ოქტომბრის რევოლუციის ისტორიულ გამარჯვებათა შემოქმედებითი აღბეჭდვის, სოციალისტური ინდუსტრიის მშენებლობის გმირული ისტორიისა და მისი შემოქმედის — ლენინ-სტალინის პარტიის — ხელოვნების ცოცხალი სახეებით უკვდავყოფის საკითხს.

მიმართა რა მხატვრებს, სახკომმა სთქვა: თქვენ ყალმითა და საჭრისით უნდა უკვდავჰყოთ და შთამომავლობას შეუნარჩუნოთ სოციალიზმის დიადი მშენებლობა, ორი ხუთწლედის დიადი საქმეები. თქვენი ვალია უჩვენოთ ჩვენს ქვეყანას, ხალხს და მთელ მსოფლიოს, ჩვენს შესანიშნავ ქარხნებში რევოლუციის შესანიშნავი ადამიანები როგორ აშენებენ შესანიშნავ მანქანებს, რომლებიც ცხოვრებაში, ყოფაში ახდენენ უდიდეს რევოლუციას, ახდენენ უზარმაზარი ქვეყნის მთელი ყოფაცხოვრებისა და წყობილების რეკონსტრუქციას, აშენებენ სოციალიზმს, აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას.

იგი დიდხანს ეკითხებოდა მხატვრებს, თუ რა არის საჭირო, რომ დიდი ოქტომბრის 20 წლისთავის საიუბილეო დღეებისათვის შექმნას დიდებული საგამოფენო ანსამბლი, რომ ტილოზე, მარმარილოსა და გრანიტში ხორცი შეესხას სოციალიზმის გამარჯვებებს.

ასე ჩაეყარა საძირკველი სახკომის კაბინეტში ეპოქის ერთერთ მხატვრულ ძეგლს — საიუბილეო გამოფენას „სოციალიზმის ინდუსტრიას", რის შესახებაც გამოაცა მთავრობის სპეციალური დეკრეტი.

მხატვრებს უჩვენეს სამხრეთის მეტალურგიის გიგანტები, დნეპროჰესი, მოსკოვისა და ლენინგრადის ქარხნები, გორკის ავტომობილების ქარხანა, სარატოვის კომბაინების ქარხანა, სტალინგრადის ტრაქტორების ქარხანა და სხვ. ვოლგით გასამგზავრებლად მხატვრებს მისცეს გემი — მეფის ყოფილი იახტა.

ამჟამად საიუბილეო გამოფენის ჩამოყალიბება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. საკმარისია მოხვდეთ საიუბილეო გამოფენისათვის განკუთვნილ პავილიონებში ფრუნზეს სახელობის სანაპირო ქუჩაზე (გორკის სახ. კულტურისა და დასვენების პარკის პირდაპირ), რომ დარწმუნდეთ ამაში. ამ პავილიონების მოცულობა უზარმაზარია. მათი გადახურული ფართობი აღემატება პუშკინის გამოფენას და აღწევს 5000 კვ. მეტრამდე. საგამოფენო კომიტეტის სამარაგოში უკვე თავმოყრილია უდიდესი მხატვრების დასრულებულ სამუშაოთა მნიშვნელოვანი რაოდენობა.

უკვე ჩააბარეს თავიანთი ნამუშევრები ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა კ. ფ. იუონმა, ი. ე. გრაბარმა, ვ. ვ. კუზნეცოვმა, ე. ა. კაცმანმა, ა. რილოვმა, მხატვრებმა დეინეკამ, ფ. ბოგოროდსკიმ, შეგალმა, დენისოვსკიმ, რიაჟსკიმ, ი. პიმენოვმა, ს. ადლივანკინმა, ნისკიმ, მედოროვმა, პლასტოვმა, ხვოსტენკომ, მალაევმა, ბ. იაკოვლევმა, სვაროგმა და სხვ.

პავილიონების კედლებზე კეთდება საინჟა ექსპოზიციები, დაწყებულია პავილიონების კაპიტალური გადაკეთება. გამოფენის გასაფორმებლად მიზიდულია მოსკოვის საუკეთესო გამფორმებელი ძალება (რომასი და სხვ.). აქ საკმაოდ დიდი სამუშაოა: დასაძლევია მრავალი სიძნელე განათების, საგამოფენო ფარების კონსტრუქციის, საგამოფენო დარბაზების მაკეტების შექმნის მხრივ და სხვ.

საგამოფენო კომიტეტი და გამომცემლობა „ისკუსტვო" შეუდგნენ გამოფენისათვის გზისმაჩვენებლების, სხვადასხვა ტიპისა და ხასიათის რეპროდუქციების, ალბომებისა და სხვ. გამოცემას. ცოტა უფრო გვიან გამოფენაზე გაიხსნება ჩვენი ქვეყნის მრეწველობისადმი მიძღვნილი განყოფილება. დაპროექტებულია სპეციალური საგამოფენო საავტობუსო ხაზი მოსკოვის ცენტრიდან გამოფენის ტერიტორიამდე.

დაძაბულობა ემჩნევა მხატვრების სახელოსნოებში, სადაც მხატვრები ამთავრებენ თავიანთ ნაწარმოებებს, აგრეთვე უშუალოდ საგამოფენო დარბაზებში მომუშავე მხატვრების მუშაობაში. საგამოფენო ჟიურის მითითებებით მათ თავიანთ ნაწარმოებებში შეაქვთ შესწორებები.

მხატვრული საზოგადოებრიობა მოუთმენლად ელის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეთა — ორდენოსნების ი. ი. ბროდსკის („სერგო ორჯონიკიძე"), ა. მ. გერასიმოვის („მძიმე მრეწველობის სახალხო კომისართან არსებული საბჭოს სხდომა") ხელოვნ. დამს. მოღვ. ს. ი. გერასიმოვის („საბჭოთა სოფლის ახალი ადამიანები"), მხატვარ ბ. ვ. იოგანსონის („ძველი ქარხანა" — რევოლუციამდელი წარსულიდან) ნაწარმოებებს და მთელ რიგ სხვა ტილოებს.

საიუბილეო გამოფენა შემდგარი იქნება შვიდი დიდი განყოფილებისაგან: 1. **შესავალი განყოფილება** (რომელიც შეიცავს პერიოდს ოქტომბრიდან 1937 წლამდე); 2. **ბოლშევიკებმა აღმოაჩინეს ქვეყნის სიმდიდრენი**, რომელშიც მოცემული იქნება წიაღის გამოკვლევის, ნავთის მუშათა მუშაობის, ქვანახშირის, ოქროს მრეწველობის მუშაკთა მუშაობის, არქტიკის დაპყრობისა, ქვეყნის ელექტროფიკაციისათვის ბუნების ძალთა გამოყენებისადმი და სხვ. მიძღვნილი ნაწარმოებები; 3. **საბჭოთა კავშირი ლითონის ქვეყანა გახდა**; 4. **სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია**; 5. **ინდუსტრია განამტკიცებს ჩვენი დიადი სამშობლოს თავდაცვას**; 6. **ცხოვრება გაუმჯობესდა, ცხოვრება საამური გახდა** და 7. **ცეცხლი მტერთა მიმართ**.

ამ უკანასკნელ განყოფილებებში ადამიანი დაინახავს მთელ რიგ ტილოებსა და ქანდაკებებს, მიძღვნილს შავი და ფერადი მეტალურგიისა, ჩვენი მანქანათმშენებლობისა, ავტოტრანსპორტის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა, თავდაცვითი მრეწველობისა, ჩვენი ავიაციის მუშაობისა, წითელი არმიის მანევრებისა, პირველხარისხოვანი ტექნიკით შეიარაღებისადმი და სხვ.

ბევრი ნაწარმოები მიძღვნილია ახალი ადამიანისა, კულტურისა, სპორტისა, ჩვენი ახალგაზრდობისადმი (სურათები იაკოვლევისა, ბუშნოვისა, მალცევისა, ტიხომიროვისა, ანტონოვისა, ვასილევისა, შტანგეს და სხვ.).

ასე, დაწყებული გამოფენის შესავალი განყოფილებიდან, რომელშიაც მოცემულია მ. გერასიმოვის, დენისოვსკის, ვ. იაკოვლევის, სამოკიშის, ჩეპცოვის, ფრენცის და სხვათა ტილოები, ხელოვნ. დამს. მოღვაწის მონიზორის, შადრის, სერგეევის, მენდელევიჩის ქანდაკებები და ვასილევისა („ლენინი") და სტარონოსოვის („ამხანაგ სტალინის მოხსენება საბჭოების სრ — საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე") გრაფიკულ ნაწარმოებთა სერია, მაყურებელი თანდათანობით გაივლის დარბაზებს გამოფენის დანარჩენი განყოფილებებით, სადაც ექსპონატებად იქნება კუპრინის, კრილოვის, ლვოვის, ლეხტის, პ. კოტოვის, დორმიდონტოვის, ნიურენბერგის ნამუშევრები, ვ. ზენკევიჩის ნახატები და მრავალი სხვა მხატვრის ნაწარმოები, და ბოლოს მოხვდება განყოფილებაში „ცეცხლი მტერთა მიმართ". გამოფენის ამ სატირიკულ განყოფილებაში, რომლის მიზანია მასობრივი მაყურებლის მობილიზება ჯაშუშებისა, დივერსანტებისა და მავნებლების წინააღმდეგ, მოთავსებულია იქნება სატირიკული ციკლები კუკრინიქსებისა („ხუთწლედის მტრები"), ხელოვნ. დამს. მოღვაწის ჩერემნიხისა („ძველი რუსეთი"), ნახატები განფისა, კანევსკისა, ხრაპკოვსკისა და სხვ. გამოფენაზე განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს ფერადი ქვებისა და ძვირფასი ქვებისაგან გაკეთებული რუკა საბჭოთა კავშირისა, რომელსაც უდიდესი წარმატება ჰქონდა პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე.

გამოფენის თემებისა და განყოფილებების ამ მეტისმეტად მოკლე აღნუსხვიდანაც ჩანს, რომ საიუბილეო გამოფენა თვით თავისი დედაარსით უნდა იქნას ნამდვილად მასობრივი, ნამდვილად ხალხური გამოფენა, რომელიც მიიზიდავს ასიათასობით მშრომელებს და, მასობრივ ტირაჟებად გამოცემული, ხალხის მილიონიანი მასების მხატვრულ საკუთრებად გახდება.

ბუნებრივად იბადება აზრი გამოფენის მოსკოვსა და ლენინგრადში დემონსტრაციის შემდეგ მისი ჩვენების შესახებ საბჭოთა კავშირის მსხვილ რესპუბლიკურ ცენტრებშიც, რის შემდეგაც საუკეთესო ნაწარმოებნი, შერჩეული იქნება რესპუბლიკის ცენტრალური სამხატვრო გალერეებისათვის. შემდეგში შეიძლება დაყენებულ იქნას საკითხი „სოციალიზმის ინდუსტრიის" სპეციალური სამხატვრო მუზეუმის შექმნის შესახებ, რომელიც მიეძღვნება გმირულ ხუთწლედებს და მათ შემოქმედს — ლენინის გენიალურ თანამებრძოლს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ და მშობლიურ ბელადს ი. ბ. სტალინს, და ეს მუზეუმი სისტემატურად შეივსება გამოჩენილი მხატვრული ნაწარმოებებით.

ახლოვდება საგამოფენო ბაირაღის აფრიალების დღე. ჩვენი ქვეყნის წარჩინებული ადამიანები — სტახანოველები, სოციალისტური მშენებლობის გმირები და ენტუზიასტები, კოლმეურნეები, საბჭოთა მინდვრების გმირები, პარაშუტისტები და მფრინავები, წითელი მეთაურები, წითელარმიელები, პიონერები და კომკავშირლები, მასწავლებლები და ინჟინრები, მეცნიერები და ექიმები, მოწაფეები და სტუდენტები — მოვლენ გამოფენაზე დიდი სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავის საზეიმო საიუბილეო დღეებში, მოვლენ იმის შესამოწმებლად, თუ როგორ ჩააბარებენ საბჭოთა მხატვრები თავიანთ საპატიო გამოცდას ქვეყნისა და ხალხის წინაშე, და შეგვიძლიან დარწმუნებული ვიყოთ, რომ საბჭოთა მხატვრები შეასრულებენ თავიანთ შემოქმედებითს მოვალეობას ქვეყნის წინაშე, ლენინ-სტალინის პარტიის წინაშე, საბჭოთა მხატვრების საყვარელი და მშობლიური მეგობრის ი. ბ. სტალინის წინაშე და ჩააბარებენ თავიანთ საპატიო გამოცდას.

◆

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

5 ნოემბერს
დიდი ოქტომბრის რევოლუციის XX წლისთავი
მუდმივი ადგილის ტალონი № 17.
პრემიერა
ლ ა ტ ა ვ რ ა
ოპერა 5 მოქმ. მუსიკა ზ. ფალიაშვილისა.
ლიბრეტო შანშიაშვილის.
ბილეთები იყიდება. დასაწყისი 8 საათზე.
3—3

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

5/XI წარმ. № 27	იუდა რუქინაშვილი
6/XI წარმ. № 28	პრემიერა ნაპერწკლიდან

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 ს. საღ. 9 საათ.

სახცირკი. ტელ. 3-11-44
5 ნოემბერს
განახლებული პროგრამა
ახალი გასტროლიორები
ალექსანდროვები სნაიპერები
ანტონიო ტურისტები
ბ ა რ ს ტ აკრობატები მოძრავი კიბით
და სხვა ნომრები.
დამსახ. არტ. ძმ. ტანტები ახალი რეპერტუარით.
დასაწყისი 8 ს. 30 წ. ს ლარო ღიაა 12—2 საათამდე და 5 საათიდან.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1937—38 წ სეზონი

6/XI	პრემიერა წარმოდგენა 25. ნაპერწკლიდან
7/XI	წარმოდგენა 26. ნაპერწკლიდან
9/XI	წარმოდგენა 27. ნაპერწკლიდან

სალარო ღიაა 12 საათიდან.
დასაწყისი 8 საათზე.
25 ოქტომბრიდან დაიწყო მუდმივი ბილეთების ტალონების გაცემა. ვისაც მეორე გადასახადი არ ექნება შემოტანილი მას ტალონები არ მიეცემა. ბილეთების გაცემა იწარმოებს თეატრის ბუღალტერიაში 12 საათიდან 4 ს.-მდე.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135	ხმოვ. ფილმი რუსულ ენაზე ნარინჯის ველი დასაწყ. 6-30
დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125	ახალი ხმ. ფილმი სიმღერა უჯახ გულოტაზე დ. საწყ. 6-30
კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91	ახალი ხმოვანი სურათი საბჭოთა სამშობლოსათვის დასაწყ. 6-30
რ. ლუქსემბ. სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8	ხმოვანი მხატვრ. ფილმი ნარინჯის ველი ქართ. ენაზე. დასაწ. 6-30
სპარტაკი რუსთაველის გამზ. № 23	ხმოვანი მხატვრ. ფილმი არსენა ქართ. ენაზე დასაწყისი 6-30
26 კომ. სახ. შაუმიანის მოედანი.	ხმოვანი მხატვრ. ფილმი დარიკო ქართ. ენაზე დასაწყისი 6-30
არხენა კომუნალური ქ. № 9	ხმოვანი ფილმი უშიშარნი დასაწყ. 6-30
კომინტერნი ბრძოლის ქ. № 222	ხმოვანი ფილმი სამი ამხანაგი დასაწყ 8 ს.
ახალი ამბები	კინო-ნარკვევი თეთნულდის იერიში ხმოვ. ჟურნ. № 46

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
მუდმივი ადგილების მეორე გადასახადი უნდა იყოს შემოტანილი
20 ნოემბრამდე.

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61 სასოფლო მეურნეობის — 3—73—40 მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის— 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ხ. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 62.

მთავლიტის რწმუნებული 3—8851